წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი 1931 წ. № 207 (3162)

## მზადება საშემოდგომო თესვისათვის სუსტად მიმდინარეობს

1931 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოსამზადებელ პერიოდის დამთავრებამდე სულ ოციოდე დღე დარჩა. ხელმძღვანელ ორგანოების მიერ მოცემულ დირექტივების თანახმად 1 ოქტომბრიდან უნდა დაიწყოს მასიური თესვა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო - კოოპერატიული ორგანიზაციები საშემოდგომო თესვისათვის აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას ისეთი ტემპებით, რომელიც უზრუნველჰყოფს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს მიერ მოცემულ დავალებათა შესრულებას? გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ამის თქმა არ შეიძლება. რაიონების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მოუკიდია ხელი საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის, — კერძოთ საშემოდგომო თესვის კონკრეტულ ამოცანათა დამკვრელი ტემპებით შესრულებისათვის. კამპანიების „მორიგეობა“, ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობისადმი მინდობა, საწარმოო საშუალებების და მუშა-ხელის ცუდი ორგანიზაცია, შრომის მოუწესრიგებლობა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში — აი უმთავრესად ის მიზეზები, რომელიც აფერხებს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით მოცემულ დავალებების დროზე შესრულებას.

საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია საანეულო ხვნის დაწესებულ ვადებში დამთავრებისაგან.—ყველაზე უფრო მეტი ჩამორჩენა კი სწორედ საანეულო ხვნის გეგმების შესრულების საქმეში გვაქვს. საქ. მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობების მიხედვით პირველი სექტემბრისათვის საანეულო ხვნის გეგმა შესრულებული იყო კოლმეურნეობებში 14,8 პროც., საბჭოთა მეურნეობებში —17,2 პროც. და კერძო სექტორში 36,0 პროცენტით. გეგმით კი საანეულო ხვნა მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს 103.300 ჰექტარზე, აქედან პირველი სექტემბრისათვის მოხნული იყო—24,412 ჰექტარი, ანუ შესრულებული იყო მთელი რესპუბლიკანური გეგმის მხოლოდ 23,6 პროც.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ნაკვეთები ცალკე კულტურებისათვის. აქა-იქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს „დისკუსია“ იმის შესახებ — რეალურია თუ არა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით მოცემული დავალებები და არ სწარმოებს ნამდვილი ბოლშევიკური დამკვრელი მუშაობა საშემოდგომო თესვის გეგმების ვადაზე შესრულებისათვის. ზოგან შესამჩნევია აგრეთვე ტენდენციები შეამცირონ რესპუბლიკანური გეგმით მოცემული დავალებანი ცალკე კულტურების თესვის დარგში მოტივით, თითქოს „მიწები არ გვაქვს“.

საშემოდგომო თესვის ხელმძღვანელ რესპუბლიკანურ ორგანოებს დღემდე არ მოეპოვებათ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვება და ხორბლეულის გადაცვლა ჯიშიან სათესლე მასალებზე. განურკვეველი მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების აღრიცხვა-შეკეთების, კადრების მომზადება და გადამზადების, მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის ორგანიზაციის, აგროკულტურულ ღონისძიებათა გატარების და სხვ. დარგებში.

ყველა ამ მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მზადება საშემოდგომო თესვისათვის მიმდინარეობს სუსტად.

საჭიროა ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების და პირველ რიგში სოფლის საბჭოების ყურადღების მობილიზაცია საშემოდგომო თესვისათვის მზადების კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ. მიწად-მოქმედების კომისარიატმა და კოლმეურნცენტრმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა უახლოეს დღეებში დასრულდეს ნაკვეთების გამოყოფა ცალკე კულტურებისათვის. დღემდე გამოუყენებელი ნაკვეთების გაწმენდით და დამუშავებით უნდა უზრუნველვყოთ ნათესი ფართობის გადიდება გასულ წელთან შედარებით. პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური კულტურების (ჩაი, რამი), ხეხილის ბაღების, თუთის ხის პლანტაციების და ციტრუსოვან კულტურებისათვის ნაკვეთების გამოყოფას.

მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომები საანეულო ხვნის ტემპების გასაძლიერებლად. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორების მაქსიმალურად დატვირთვას, გაუპიროვნების ძირშივე აღკვეთას, დაზიანებული მანქანა-იარაღების დროზე შეკეთებას და სოცშეჯიბრება და დამკვრელობის გაშლას. ამასთან ერთად სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ცოცხალი გამწევი ძალის მნიშვნელობის შეუფასებლობას და ტრაქტორების მოლოდინში საანეულო ხვნის და მინდვრის სხვა სამუშაოთა დაწყების გაჭიანურებას.

საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაცია არის ის საშუალება, რომელიც სწყვეტს საშემოდგომო კამპანიის გეგმების წარმატებით შესრულების საკითხს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ჩვენ ერთსა და იმავე დროს გვიხდება მოსავლის აკრეფა-განაწილების, ჩაისათვის ნიადაგის მომზადების, რამის გადარგვის, ანეულად ხვნის და სხვა მთელი რიგი სასოფ.-სამეურნეო ოპერაციების წარმოება. ეს კი მოითხოვს უდიდეს ენერგიას, მოქნილობას და გეგმიანობას მუშაობაში. მხოლოდ საწარმოო საშუალებების და მუშა-ხელის სწორად განაწილებით და მტკიცე ოპერატიულ - კულტურულ ხელმძღვანელობით შეიძლება საშემოდგომო სას. სამეურნეო კამპანიის ცალკე სამუშაოთა დროზე შესრულება; მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის ძირშივე აღკვეთა, სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარება, კოლმეურნეობათა მთელი შემოსავლის დახარჯული შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით განაწილება, კულაკური „გათანაბრების“ გადაჭრით აღკვეთა და კოლმეურნეთა მასის საკოლმეურნეო შრომის შედეგებით დაინტერესება მოგვცემს საშუალებას ბოლშევიკურად გადავლახოთ ყველა სიძნელენი, გავსტეხოთ კულაკობის წინააღმდეგობა და კოლმეურნეობათა მასის შრომითი ენტუზიაზმის ზრდის საფუძველზე შევასრულოთ მოცემული დავალებანი.

ამასთან ერთად ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ კერძო სექტორს. პირველ რიგში ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ ასრულებენ კულაკური და შეძლებული მეურნეობანი საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით მოცემულ მტკიცე დავალებებს. სოციალისტურმა სექტორმა (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები) უდიდესი საწარმოო დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს კოლმეურნეობის გარეშე დარჩენილ ღარიბს და საშუალო გლეხებს. სოციალისტური სექტორის მიერ ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კულაკობის წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლის და ღარიბ, საშუალო გლეხთა ახალი მასების კოლმეურნეობებში ჩაბმის ამოცანებს.

სარაიონო აღმასკომებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთი კითხვების მოგვარებას, როგორიცაა: სას.-სამ. მანქანა-იარაღების დროზე მომარაგება და მათი შეკეთება, შემკეთებელ სახელოსნოების ქსელის გაფართოება, სათესლე მასალის შეგროვება, მუშა-საქონლის კოლონების ორგანიზაცია, ქალთა შრომის ფართოდ გამოყენება, საზოგადოებრივი კვების მოწყობა მინდვრად და სხვა.

საშემოდგომო თესვის დაწყებამდე დარჩენილი დრო მთლიანად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მომზადებული და ორგანიზაციულად დარაზმული შევხვდეთ მასიური თესვის დაწყებას. კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის ჩატარების მხრივ მაგალითი უნდა უჩვენონ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხებს. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა თესვის ჩატარებაში უნდა ითამაშონ ორგანიზატორის და ხელმძღვანელის როლი. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ეს კამპანია უნდა უზრუნველჰყონ მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით.

## გაფიცვების ტალღა ევროპაში

### მთელ ესპანეთს ედება გაფიცვის ტალღა

**მადრიდი**, 7 სექტემბერი. ესპანეთში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. ქალაქ მობოდაში (ოვიედოს პროვინცია) რამდენიმე ათასმა სამთო-მადნო მუშამ გამოაცხადა გაფიცვა და მოითხოვა ხელფასის გადიდება. ქ. კენპანში (ტოლედოს პროვინცია) გაიფიცნენ მშენებლები და რკინის გზის მუშები.

ქ. ტუდელაში (ოვიედოს პროვინცია) უმუშევრებმა მოითხოვეს სამუშაო და ხელთ იგდეს ცემენტის ქარხანა. მთელს ქვეყანაში მეტად ძლიერდება აგრარული მოძრაობა. მაგალითად: სოფელ პოლანში თოფებით შეიარაღებულნი 4.000 გლეხი თავს დაესხა ცნობილ არისტოკრატის და პოლიტიკურ მოღვაწის რომანესის მამულს და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია შემთხვევის ადგილზე მოსულ სამოქალაქო გვარდიას; სოფელ ალკაუდერში გლეხებმა ხელთ იგდეს ერთ-ერთი მდიდრის მამული (ადს).

### ინგლისის ქვანახშირის მუშები ემზადებიან გაფიცვისათვის

**ლონდონი**, 7 სექტემბერი. უელსში ანტრაციტის მაღაროების 15.000 მუშამ გააფრთხილა მეწარმოებლები, რომ 4 დღის შემდეგ ისინი გამოაცხადებენ გაფიცვას. გაფიცვა მოედება უელსის სამხრეთ-დასავლეთის 50 მაღაროს.

გადაწყვეტილება გაფიცვის შესახებ მიღებულია იმის გამო, რომ რამოდენიმე მაღაროს ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ამას წინად სამედიატორო გადაწყვეტილებით დაწესებულ ხელფასის მინიმუმის გაცემაზე (ადს).

## წყალდიდობისგან დაიღუპა 1 მილიონი კაცი

**შანხაი** 7 სექტემბერი. შანხაიში ფიქრობენ, რომ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა რიცხვი 180 მილიონს აღწევს. ყველა ამათ ესაჭიროებათ დაუყოვნებლივი დახმარება. წყალდიდობისაგან დაზარალდა 300 ჰაზრა და 17 პროვინცია.

რეიტერის სააგენტო სთვლის, რომ ყვითელი მდინარის ბასეინში წყალდიდობის გამო დაიღუპა 1 მილიონი კაცი. (ადს)

## ეკონომიური კრიზისის ბრჭყალებში

**ნიუ-იორკი**, 7 სექტემბერი. როგორც ბრაზილიიდან იუწყებიან, ფასების აწევის მიზნით, იქ, აგვისტოს 20 დღის განმავლობაში, ყავის მრეწველობის გაერთიანების თანახმად, მოსპეს 653.194 ტომარა ყავა (38.111.640 კილოგრამი) (ადს).

## ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში

### გერმანიის კომკავშირში შევიდა მრავალი ათეული ახალგაზრდა

#### გერმანია

#### ახალგაზრდობის მძლავრი დემონსტრაცია

**ბერლინი**, 7 სექტემბერი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ყოველგვარი რეპრესიებისა და აკრძალვის მიუხედავად, თითქმის მთელს გერმანიაში აღინიშნა მუშური ახალგაზრდობის მასიური გამოსვლით და მრავალ ათას ახალი წევრების მიღებით გერმანიის კომკავშირში. ბერლინში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის წინა დღით შესდგა 9 მიტინგი, რომლებსაც 2.000 კაცამდე დაესწრო. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ვედინგში, გალეში, კენესბერგში, შტუტგარტში და ჰამბურგში გაიმართა ახალგაზრდობის დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა მრავალი ათი ათასი კაცი.

პფალცის პროვინციაში კომკავშირმა შეაგროვა 261 ახალი წევრი და შექმნა 8 ადგილობრივი უჯრედი. დიდი მიტინგები გაიმართა კელნში, შტუტგარტში, ზემო სილეზიაში, ოპელნში და შტეტინში. ესენის ოლქში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 4.000 კაცმა, მათ შორის მთელ რიგმა სოციალ-დემოკრატ ახალგაზრდა მუშებმა. ჰამბურგში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 20.000 კაცი. რურის ოლქში კომკავშირში გადავიდა 12 სოციალ-დემოკრატი, 21 ნაციონალ-სოციალისტი და კათოლიკური პარტიის 13 წევრი — ახალგაზრდა მუშა. შტუტგარტში დააპატიმრეს 20 კაცი, ბერლინში — 19 (ადს).

#### იაპონია

#### სისხლისმღვრელი შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის

**ტოკიო**, 7 სექტემბერი. იოსკაში (გუმას პრეფექტურა) პოლიციამ გაფანტა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული სალიტერატურო საღამოზე შეკრებილი ხალხი და დააპატიმრა ცნობილი პროლეტარული მწერალი მურაიამა, ნაკანა, კობაიასი და სხვა.

მუშათა ჯგუფი გაემართა პოლიციის სამმართველოსაკენ და მოითხოვა დაპატიმრებულების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიჭრა 5 დემონსტრანტი, 25 კაცი იქნა დაპატიმრებული.

პოლიციის ცნობებით, 6 სექტემბერს ტოკიოში დაპატიმრებული იქნა 136 კაცი. ოსაკაში დააპატიმრეს ადგილობრივი მუშათა მოძრაობის 30 აქტიური წარმომადგენელი. (ადს).

#### საფრანგეთი

#### მასიური დაპატიმრებანი პარიზში

**პარიზი**, 7 სექტემბერი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პარიზის მთელ რიგ გარეუბნებში გამოწვეული იყვნენ პოლიციისა და ჟანდარმერიის გაძლიერებული რაზმები. მუნიციპალურ სტადიონზე თავმოყრილი იყო 3.000-დე ჟანდარმი და პოლიციელი. ქალაქზე დაფრინავდა პოლიციის ჰაეროპლანი. სტადიონზე დააპატიმრეს 100-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა.

სენ-დენში გავრცელებულ იქნა რამდენიმე ათასი ფურცელი, რომელიც შეიცავდა პროტესტს პოლიციელთა ძალადობის წინააღმდეგ (ადს).

### საბჭოთა კავშირში

**მოსკოვი**, 7 სექტემბერი. მოსკოვის კომკავშირმა და დედაქალაქის პროლეტარულმა ახალგაზრდობამ მძლავრი დემონსტრაციით აღნიშნა საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე. ლენინის მავზოლეის ტრიბუნაზე არიან: ამხ. კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, პოსტიშევი, იაროსლავსკი, კალინინი რუძუტაკი ენუკიძე, კარახანი, მაქსიმ გორკი, კოსარევი და სხვ. წითელ მოედანზე მოვიდნენ ახალგაზრდობის კომინტერნის საზღვარგარეთულ რაზმების წარმომადგენლები, გერმანელების დელეგაცია და მსოფლიო კომკავშირის დანარჩენ სექციების წარმომადგენლები. დემონსტრაციას დაესწრნენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. კოლონების მსვლელობა გაგრძელდა დაღამებამდე. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო სულ 400.000-დე კაცმა (ადს).

## შავი მეტალურგიის ქარხნები

### (საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებიდან შავი მეტალურგიის მუშაობის შესახებ)

**მოსკოვი**, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს საწარმოო პროგრამის და კაპიტალურ სამუშაოთა პროგრამის სრულიად არა დამაკმაყოფილებლად შესრულებას შავი მეტალურგიის ქარხნებში. ტეხნიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუარესების შედეგად შესუსტდა საამქროების ხელმძღვანელობა და ცალკე საქარხნო საამქროების მუშაობის ერთმანეთთან დაკავშირება. საქარხნო საამქროები და ეზოები სავსეა ნაგავით, ნამტვრევებით და სრულიად მოუვლელია, ავარიებისა და დაუდევრობის შემთხვევები იზრდება, არ ექცევა არავითარ ყურადღება ყოველდღიურ რაციონალიზატორულ მუშაობას და მომქმედ აგრეგატების მუშაობას, მექანიზმები სრულიად მოუვლელია, უგეგმოდ სწარმოებს რემონტი,— საქარხნო ტრანსპორტი, ქარხნების დამხმარე და ცეცხლის გამძლე საამქროები ჩამორჩენილია და სრულიად არა დამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სამეურნეო და ტეხნიკური ხელმძღვანელობა სათანადოთ არ აფასებდა მექანიზაციის მნიშვნელობას მუშა-ხელის სიმცირის პირობებში. შრომის ორგანიზაციას ქარხნებში ახასიათებს უდიდესი ნაკლოვანებები. ქარხნებში გეგმიზებულია დაუშვებელი გათანაბრება შრომის ხელფასის ანაზღაურების საქმეში, შრომის სანარდო სისტემა ფაქტიურად გაუქმებულია.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმი კონკრეტულ დირექტივებს აძლევს სამეტალურგიო გაერთიანებებს, საქარხნო მართველობას და ს. მ. უ. საბჭოს შესაფერ სექტორებს წარმოების ორგანიზაციის, შრომის ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის გატარების, სადუღელო მაღაროების მომზადების, ცეცხლის გამძლე მრეწველობის განვითარების და კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე.

ს. მ. უ. საბჭო წინადადებას აძლევს სამეტალურგიო გაერთიანებებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქარხნების ხელმძღვანელ ტეხნიკური პერსონალის განმტკიცებას, რისთვისაც მათ, უპირველეს ყოვლისა, მობილიზაცია უნდა უყონ მათ გამგებლობაში მყოფ გაერთიანებების, პროექტის შემდგენელ ორგანიზაციების და სამეცნიერო ინსტიტუტების აპარატში მომუშავე უფრო გამოცდილ და კვალიფიციურ ტეხნიკურ პერსონალს და გადაგზავნონ ის საქარხნო სამუშაოზე. აპარატში მომუშავე უფრო გამოცდილ და ნიჭიერ ინჟინრები და ტეხნიკოსები უნდა გადაყვანილ იქნან უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს კადრების სექტორებს წინადადება მიეცა—ერთი დეკადის ვადაში შეამოწმოს ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფ ლენინგრადის და მოსკოვის დაწესებულებების, ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციების და სხვა ორგანოების ინჟინერ-ტეხნიკური მუშაკების არსებული შემადგენლობა და წარმოადგინოს გეგმა იმ ტეხნიკური მუშაკების გაგზავნის შესახებ უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ, რომელთაც წინად უმუშავნიათ შავი მეტალურგიის ქარხნებში, ისინი გაგზავნილი უნდა იქნან „სტალ“-ის, „ვოსტოკოსტალ“-ის და „სპეცსტალ“-ის ქარხნებში სამუშაოდ.

დისციპლინის ნამდვილად გატარებისათვის მუშაობის თვითეულ ნაწილში, ს. მ. უ. საბჭო ბრძანებს—უარყოფილ იქნას უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვან რეპრესიების (საყვედური გაფრთხილება) მასიური გამოყენება და ყველა იმ საწარმოებში, სადაც ადგილი აქვს შინაგანი წესების პირდაპირ და შეგნებულად დარღვევას მუშებისა და ადმინისტრატიული პერსონალის მხრით. მიღებულ იქნას სასჯელის უფრო მკაცრი ზომები სამსახურიდან დათხოვნამდე, მუშა-ხელის ნაკლებობის მიუხედავად.

სამეტალურგიო ქარხნების მმართველობისათვის რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, ს. მ. უ საბჭო წინადადებას იძლევა—მოეწყოს ცენტრალური გაერთიანება „ცენტროსტალ“-ი და გამოყოფილ იქნას ეს ქარხნები „სტალ“-ის შემადგენლობიდან. ტრესტი „რუდა“ გამოყოფილ იქნას „სტალ“-ის გამგებლობიდან და უშუალოდ დაუქვემდებარდეს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს (ადს)

## ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეთა შეკრების პატაკი

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტს, საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას, საქ. სახკომსაბჭოს და საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირის საფუძველზე, საბოლოოდ გაანადგურა მემამულეების და ბურჟუაზიის ბატონობა და უზრუნველყო სოციალისტური მშენებლობის გაშლა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნეები მშრომელ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან ერთად, პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, წარმატებით ანხორციელებენ ხუთწლიან გეგმას—ოთხ წელიწადში. მტკიცე საფუძველს უყრის ახალი ქვეყნის შენებას, არნახული ტემპებით ანვითარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღებული მიღწევები, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა და მშრომელი გლეხობის უდიდესი უმრავლესობის კოლექტივიზაციის გზაზე შედგომა (რაიონში გაერთიანებულია 94,4 პროც.) უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის გადაქცევას ყველაზე მსხვილ სოფლის მეურნეობის ქვეყნად მთელ მსოფლიოში.

ოზურგეთის თვითეული კოლმეურნე ღრმად დარწმუნებულია კოლექტიურ შრომის უპირატესობაში ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით. თვითეულ კოლმეურნესათვის აშკარაა, რომ მხოლოდ მეურნეობებში გაერთიანებით არის შესაძლებელი თავის დაღწევა სიღატაკისა და უკულტურობისაგან.

ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეებმა, ლენინური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, მემარჯვენე „მემარცხენე“ გადახრებთან, მენშევიკებთან და კულაკურ ელემენტებთან დაუნდობელი ბრძოლის ნიშნის ქვეშ, დიდის წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. ოზურგეთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში ტეხნიკური კულტურების განვითარება რეალურ ფაქტად იქცა. ჩაის კულტურებს რაიონში 1931 წლის აგვისტოსათვის უჭირავს 4885.4 ჰექტარი. აქედან 2.649.2 ჰექტარი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. **გადაჭარბებით შესრულებულია პირველი და მეორე კვარტალის გეგმები ჩაის ხაზით**, ერთწლიან ტეხნიკურ კულტურებს უჭირავს 4045.8 ჰექტ. ნაცვლად 1930 წ. 1959 ჰექტარისა.

ჩვენ, ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეები, ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ შრომის სწორი ორგანიზაციით, სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარებით და შრომის სოციალისტური მეთოდების—სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გამოყენებით არის შესაძლებელი კოლმეურნეობათა მშენებლობის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა და ხუთწლედის დამლევისათვის 100.000 ჰექტარი ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმის განხორციელება.

საკოლმეურნეო მშენებლობამ ჩვენს რაიონში ფართო გასაქანი მისცა ქალთა შრომას. კოლექტიური შრომის შედეგად მივიღეთ ქალთა აქტივობის უდიდესი ზრდა.

ოზურგეთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონის კოლმეურნეები ვიძლევით მტკიცე სიტყვას, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწევთ ბოლშევიკური ტემპების დროშას—შრომის სოციალისტური მეთოდების სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე, შრომის სწორი ორგანიზაციის, სანარდო სისტემის გატარებით, განვამტკიცებთ კოლმეურნეობას. სიტყვას ვიძლევით, რომ დაუყოვნებლივ მოვახდენთ ლიკვიდაციას ჩაის ფართობების ბარვის მესამე კვარტალის გეგმის შესრულების საქმეში, დაკვირით წესით ჩავატარებთ მუშაობას სასილოსე ნაგებობათა დასრულებისათვის. უზრუნველყოფთ ჩვენს რაიონში ტეხნიკური კულტურების შემდგომ გავრცელებას, ვიბრძოლებთ ჩაის მესამე და მეოთხე კვარტალის გეგმის გათვალისწინებულ 1.400 ჰექტარის ფართობის დამუშავებისათვის, ვიბრძოლებთ 300 ჰექტარზე რამის კულტურის გაშენებისათვის სექტემბერ-ოქტომბერში. ბოლშევიკურად ჩავატარებთ მოსავლის აღების კამპანიას დანაკარგებთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ, მტკიცედ შევასრულებთ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივას მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების შესახებ.

ჩვენ, ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეები, სიტყვას ვაძლევთ პარტიას და ხელისუფლებას, რომ ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად დავდგებით მოწინავე პოზიციაზე. ჩვენ მტკიცედ გვიჭირავს სოციალისტური შრომის წითელი დროშა და ვინც შეეცდება ამ დროშის ჩვენი ხელიდან გამოცლას მას ხელისუფლებასთან და პარტიასთან ერთად, საკადრის პასუხს გავცემთ.

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილ შეტევას ყველა ფრონტზე.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

საქართველოს

# ხვალ ღრმა-ღელეში მოეწყობა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის აღლუმი და თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია

## როგორ მოეწყობა კავკ. წითელდროშოვანი არმიის შეხვედრა

10 სექტემბერს, აღლუმისა და დემონსტრაციის დღეს, მანევრებიდან დაბრუნებულ კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების შეხვედრის გამო, თბილისი გაჩირაღდნებული იქნება.

აღლუმის ადგილი— ღრმა ღელე, უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით. საჭმელისა და ცივი სასმელების მისაწოდებლად, აღლუმის ადგილზე აგებული იქნება დარგობრივ გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციების დროებითი ფარდულები.

ყველა მუშათა დახურულმა კოოპერატივებმა უნდა უზრუნველჰყონ კვებით თავიანთი მუშები აღლუმის ადგილზე. აღლუმის ადგილზე მოწყობილი იქნება 2 ტრიბუნა: ერთი მთავრობის წევრებისათვის, ხოლო მეორე უცხოეთის კონსულებისათვის.

რადიო-ცენტრი მოახდენს აღლუმის ადგილის და დემონსტრაციის მსვლელობის რადიოფიკაციას.

სახკინმრეწვი გადაიღებს როგორც კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების შემოსვლას თბილისში, ისე აღლუმს დემონსტრაციით.

თბილისის მუშათა კლუბებში დაიწყო მუშათა და კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების ინტერნაციონალური დაახლოვების საღამოების ჩატარება (ადს).

## სამოქალაქო ორგანიზაციების დემონსტრაციის გეგმა

### 10 სექტემბერს 1931 წელს

აღლუმისა და დემონსტრაციის ჩამტარებელ კომისიის დადგენილების თანახმად რომელიც გამოქვეყნებული იყო 1931 წლის 5 სექტემბრის გაზეთებში, 10 სექტემბერს გაიმართება სამოქალაქო ორგანიზაციების დემონსტრაცია.

1. დემონსტრაციაზე შეკრება ჩატარებულ იქნება ორ კოლონად. პირველ კოლონაში შედიან მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე მყოფი ყველა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. პირველი კოლონის მოწინავე ნაწილი ეწყობა პლეხანოვის სახელობის კლუბთან. კოლონის თავში დგება სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა, მის შემდეგ ეწყობიან რკინისგზელთა გაერთიანებელი კავშირები, საწარმოები, ხოლო შემდეგ ყველა დანარჩენი საწარმოები და დაწესებულებები პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მითითებით ადგილზე.

პირველი კოლონის ხელმძღვანელია ამხ. კ. მახარაძე (საქ. პროფსაბჭო).

2. მეორე კოლონაში შედიან მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე მყოფი ყველა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. კოლონის მოწინავე ნაწილი ეწყობა ეორისისა და საბჭოთა ქუჩის (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კუთხეში.

კოლონის თავში დგება მშენებელთა კავშირის გაერთიანებული საწარმოები, ხოლო ყველა დანარჩენები ეწყობიან ეორისისა და პლეხანოვის ქუჩების გასწვრივ პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მითითებით.

მეორე კოლონის ხელმძღვანელი ამხ. ვ. არჩვაძე (საქ. პროფსაბჭო).

3. ყველა ორგანიზაციები უნდა გამოცხადდენ შესაკრებ ადგილებზე და დაეწყონ დილის 8 საათისათვის—8 კაცი რიგში.

4. პირველი კოლონა დაიძრება დილის სრულ 9 საათზე და მიემართება აღლუმის ადგილისაკენ (ღრმა-ღელე, პლატოზე, ახალი მექანიკური ქარხნის, მშენებლობის ადგილის ზევით).

5. მას მიჰყვება მეორე კოლონა.

5. ყველა ორგანიზაციები გამოდიან დემონსტრაციაზე ლოზუნგებით, პლაკატებით, დროშებით, სასულე ორკესტრით და სხვ.

7 ყველა ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომლებიც ემორჩილებიან კოლონების ხელმძღვანელებს. 1 კოლონის—ამხ. მახარაძეს, 2 კოლონის ამხ. ვ. არჩვაძეს.

8. კოლონები მიემართებიან აღლუმის ადგილისაკენ კოლონების ხელმძღვანელების და აღლუმის მოედნის კომენდანტის ამხ. ბეჟანიშვილის (თბილისის საბჭო) მითითებით.

აღლუმისა და დემონსტრაციის ჩამტარებელი კომისია

თავდაცვა - ავიაქიმის ბანაკი
სატელეფონო ხაზის გაყვანა

## საჰაერო თავდაცვისათვის მზადება უნდა გაძლიერდეს

### დეკადის დამთავრებამდე ორი დღე დარჩა

### ფართოდ გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები დეკადის წარმატებით ჩატარებისათვის

10 სექტემბერს დამთავრდება საჰაერო თავდაცვის დეკადა. დეკადის შუა რიცხვებში საჰაერო თავდაცვის საქმე მთელი მოსახლეობის ყურადღების ცენტრში იყო და ეს იმიტომ, რომ საჰაერო თავდასხმების მოგერიების პრაქტიკულმა სწავლებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

დეკადის დამთავრებამდე მხოლოდ 2 დღე დარჩა. ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მოსახლეობის ფართო მასებში საჰაერო თავდაცვის საკითხების პოპულარიზაციას.

დეკადის მსვლელობაში განსაკუთრებით სუსტ მონაწილეობას ღებულობენ პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ დიდი როლის შესრულება. ისეთი დაწესებულებაც კი, როგორიცაა თბილისის აღმასკომი, პირველ ხანებში ვერ ამოქმედდა შესაფერისად, მანაც ვერ შეიგნო დეკადის ჩატარების პოლიტიკური მნიშვნელობა და თავის დროზე ვერ შესძლო მოწოდების გამოქვეყნება, რომ მოქალაქეებს სცოდნოდათ თბილისზე ავიაციის „თავდასხმებისათვის“, თუ რა მიზნები იყო დასახული 4 სექტემბრის სწავლებით. ამის შედეგად, 4 სექტემბერს თბილისზე ავიაციის სასწავლო ხასიათის თავდასხმები ვერ მოხერხდა და სასოდ ამორჩეულ იქნა მეორე დღე—5 სექტემბერი.

პროფესიონალურმა და საერთოდ ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ ორი დარჩენილი დღის განმავლობაში მაინც თავიანთი აქტიური მონაწილეობით გააცხოველონ დეკადის მსვლელობა.

### მუშათა კლუბებში სდუმან

საჰაერო თავდაცვის დეკადას შესაფერისად ვერ გამოეხმაურნენ ვერც თბილისის მუშათა კლუბები, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა.

მუშათა კლუბების დეკადის მსვლელობაში მონაწილეობის მიღება აუცილებელი იყო. ხელოვნების მუშაკთა კავშირს ამ მხრივ შეეძლო დიდი სამსახური გაეწია როგორც თვით მუშათა კლუბებისათვის, ისე დეკადის ჩატარებით დასახული მიზნების ფართო პოპულარიზაციისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არც ერთმა ორგანიზაციამ არ იცის, თუ სახელდობრ რა გააკეთეს მუშათა კლუბებმა დეკადის წარმატებისათვის და ან რის გაკეთება აქვთ დასახული დეკადის დამთავრებამდე.

მუშათა კლუბებმა, გარდა სპეციალური საღამოების მოწყობისა, დეკადის იდეების პოპულარიზაციისათვის უნდა გამოიყენონ საკლუბო მუშაობის ყველა არსებული მეთოდები. სათანადო პროფესიონალურმა კავშირებმა ამ მხრივ კლუბებს უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება. განსაკუთრებით უნდა გაშალონ მუშაობა კლუბებში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ არ კმარა კლუბში მარტო საკუთარი კუთხეების მოწყობა, არამედ საჭიროა საქმის ცოცხლად დაყენება, მისი მტკიცე ხელმძღვანელობა და საჰაერო მოგერიების საშუალებათა შემსწავლელი წრეების ქსელის ფართოდ გაშლა.

განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიექცეს საჰაერო მოგერიების წრეების მუშაობას და უზრუნველყოფილი იქნეს ეს წრეები სათანადო ხელმძღვანელობით.

### საჰაერო „თავდასხმების“ შედეგები შესწავლილ უნდა იქნეს წრეებში

როგორც უკვე იყო გამოქვეყნებული, თბილისის საჰაერო მოგერიების შტაბმა დაიწყო 4 და 5 სექტემბერს სასწავლო მიზნით გამართული საჰაერო „თავდასხმების“ შესახებ შეგროვილი მასალების შესწავლა. შესწავლა, მიზანია ავიაციის თავდასხმების მოგერიების საუკეთესო მეთოდების გამორკვევა და მტრის ავიაციასთან შებრძოლების ოდნავ მიზანშეწონილ საშუალებათა შერჩევა.

შტაბი ამ მხრივ დაწყებულ მუშაობას ჩქარა დაამთავრებს და საჭიროა შტაბის მიერ მიღებული დასკვნების ფართო პოპულარიზაცია. ამ მხრივ პირველ რამ უნდა გააკეთონ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებმა, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ ეს მუშაობა სწრაფი ტემპით იქნეს წარმოებული სამრეწველო რაიონებში. დიდი მუშაობა იქნება საჭირო თვით საწარმოებშიაც, სადაც ადგილობრივმა მუშებმა უნდა ისწავლონ საწარმოს დაცვის მეთოდებიც.

საჰაერო თავდაცვის დეკადის დამთავრების მიუხედავად, ეს მუშაობა უნდა განაგრძონ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა და ამ მხრივ მათ არ უნდა შეანელონ მუშაობის ტემპები.

ტყვიამფრქვევი ამუშავდა

## აზერბეიჯანის და ბაქოს პარტორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ

### აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის მე-7 პლენუმის რეზოლიუცია ამხ. პოლონსკის მოხსენების გამო

**ბაქო**, 6 სექტემბერი. მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის გადამწყვეტი გამარჯვებანი უდაოდ ადასტურებენ პარტიის გენერალური ხაზის აბსოლუტურ სისწორეს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტია თანმიმდევრობით და წარმატებით იბრძვის საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. საკავშირო კომპარტიამ (ბ), რომელიც ამჟამადაც ფართო მასებს პარტიის გენერალური ხაზის გარშემო და დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებს ორ ფრონტზე—ყოველგვარ გადახრებისა და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ბუმბერაზულ გამარჯვებას მიაღწია.

მთელ პარტიასთან ერთად ბაქოს ორგანიზაციამ—პარტიის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა—უკანასკნელ პერიოდში დაგვანახვა სოციალისტური მშენებლობის ნამდვილი ბოლშევიკური ტემპების ნიმუშები. აზერბეიჯანისა და ბაქოს ორგანიზაციები, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით, სათავეში ჩაუდგნენ ბაქოს პროლეტარიატისა და აზერბეიჯანის მშრომელი გლეხობის მასების შემოქმედებით ინიციატივას და აქტივობას და მიაღწიეს გარდატეხას იმ ძირითადი ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახა პარტიის მე-16 ყრილობამ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929-1930 წლების გადაწყვეტილებებმა. ბრძოლის ამ ახალ ეტაპს ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაციების განვითარებაშიაც ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული და საბჭოთა მუშაობის გაძლიერება აზერბეიჯანის სოფელში და ნავთის მრეწველობის მაქსიმალური განვითარება. ასე, მაგალითად, ნავთის ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია ორ ნახევარ წელიწადში; ბამბის ფრონტზე მოპოვებულია პირველი გამარჯვება—შესრულებულია 20[illegible] ჰექტარზე მეტი ბამბის დათესვისა და დამუშავების გეგმა; აზერბეიჯანის გლეხურ მეურნეობათა 41 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, მებამბეობის რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 41 პროცენტი, 1932 წელს ძირითადად ამთავრებენ მთლიან კოლექტივიზაციას და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას ამ საფუძველზე. მთელ რიგ მნიშვნელოვან მაჩვენებლების ხაზითაც (თევზის საგაზაფხულო ჭერა, ნავთის გადაზიდვა ზღვით, სხვა და სხვ.) ადგილი აქვს დიდი მიღწევებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს პარტიული რიგების შემჭიდროება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის გარშემო, პარტორგანიზაციების მიერ ქალაქისა და სოფლის მასებთან კავშირის გაძლიერება, მასების ნდობა პარტიის გენერალური ხაზისადმი.

ამას მოწმობს საბჭოების გადარჩევის კამპანია, რომლის შედეგს წარმოადგენს ბაქოს საბჭოს, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციაში პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი რაზმის, ავტორიტეტისა და მნიშვნელობის ზრდა, ახალი პროლეტარული კადრების, განსაკუთრებით თურქთა კადრების ზრდა და დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგებში. ამას მოწმობს აგრეთვე პარტორგანიზაციების გადარჩევის კამპანია, რომელიც ჩატარდა შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცების, პარტორგანოების ნამდვილი არჩეულობის განხორციელების, თვითკრიტიკის გაშლის და თვითკრიტიკის ჩახშობის ცდებთან გადამწყვეტ ბრძოლის საფუძველზე. ბაქოს ორგანიზაციის მუშაობის ახალ ეტაპს ახასიათებს აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის საგრძნობი განუწყვეტელი ზრდა მოწინავე დამკვრელ მუშების ხარჯზე.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმი ადასტურებს, რომ ამ გარდატეხის —საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929-1930 წლების დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშან ქვეშ მომხდარ გარდატეხის ბირკეტებს წარმოადგენდნენ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობის გარკვეულობა, სიმტკიცე და შეუპოვრობა პარტიის გენერალური ხაზის გატარებაში. ბაქოს ორგანიზაციამ, იბრძოდა რა ის ორ ფრონტზე მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია „მემარცხენე“-მემარჯვენე ბლოკს ლომინაძის და სხვ. მეთაურობით, რომლებიც ცდილობდნენ ბაქოს ორგანიზაციის მიმხრობას პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბაქოს კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაციის ეხლანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც ეყრდნობა ფართო პარტიულ მასებს, ატარებს თავის მუშაობაში ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს იმ უპრინციპო დაჯგუფების წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის შესახებ, რომლებიც დემორალიზაციას უნერგავდნენ ორგანიზაციის რიგებში და რომელიც შლიდა მის შემოქმედებით დადებით მუშაობას.

ბაქოსა და მთელი აზერბეიჯანის ორგანიზაცია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულოს მესამე გადამწყვეტი წლის დარჩენილ ოთხ თვეში ნავთის გეგმა. ორგანიზაციის წინაშე დასახულია რთული ამოცანა—მთლიანად აიღოს ბამბის მოსავალი, გააძლიეროს მეცხოველეობის განვითარება, გარდაქმნას ტრანსპორტი, გააუმჯობესოს კოოპერაციის მუშაობა და მუშათა მომარაგება, აგრეთვე განამტკიცოს პარტიისა და საბჭოების მუშაობა სოფლად. ეს ამოცანები მოითხოვენ ორგანიზაციის რიგების განსაკუთრებულ შემჭიდროებას და მთლიანობას. ახალი დაჯგუფების შექმნა, რაც მთლიანად მიმართულია ბაქოსა და ცენტრალურ კომიტეტის იმ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც სწორად ატარებს გენერალურ ხაზს, წარმოადგენს უპრინციპო, დიდმპყრობელურ და ნაციონალისტურ ელემენტების უპრინციპო ბლოკს, ეს ელემენტები გაერთიანდნენ ნავთის მრეწველობის გაძლიერებულ ტემპებისა და ბამბის გეგმის რეალობისადმი რწმენის უქონლობისა და ახალი პროლეტარული კადრების, განსაკუთრებით თურქი პროლეტარიატის რიგებიდან გამოსულ კადრების დაწინაურებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ნიადაგზე. „ძველი“ ხელმძღვანელობის რევანშისტები ნაშთები კასიმოვის, ზეინალოვის, ასრიევის მუშკოვის და სხვათა მეთაურობით, ცდილობდნენ იმ მეთოდების და ხერხების აღდგენას, რომლებიც თავის დროზე ამხილა ორგანიზაციამ და დაგმო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლაში რევანშისტები, აგრეთვე დაჯგუფების წარმომადგენლები მიმართავდნენ უყოლად ხაზზე ანტიპარტიულ ხერხებს —დაწყებული თვითკრიტიკის ჩახშობით და გათავებული კონტრ-რევოლიუციონერ ჭორით და პროვოკაციით. დაჯგუფების წარმომადგენლები—რევანშისტები ვერ ბედავენ აშკარად გამოსვლას თავიანთი ოპორტუნისტული შეხედულებებით ხელმძღვანელობის ბოლშევიკური ხაზის წინააღმდეგ და მიმართავდნენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთხელ უკვე დაგმობილ ცდებს—შეეცვალათ ორგანიზაციის ცალკე ხელმძღვანელების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ხაზის საკითხი. დაჯგუფების წარმომადგენლები მიმართავდნენ აშკარად ანტიპარტიულ ცდებს—გაეღვივებინათ ეროვნული შუღლი და ძველი კადრები დაეპირისპირებინათ ახლებისათვის, ადგილობრივნი—ჩამოსულებისათვის, ავრცელებდნენ არაპარტიულ, კულაკურ, შოვინისტურ და ობივატელურ შეხედულებებს.

ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაციამ ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით გააჩაღა გადამწყვეტი ბრძოლა იმისათვის, რომ ორგანიზაცია გადაეყვანა საქმიან მუშაობაზე სოციალისტურ მშენებლობისა და უპრინციპო დაჯგუფების ნაშთების აღმოფხვრის საქმეში. „ბექესმეტი“-ს განცხადება წარმოადგენდა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ჯგუფური ბრძოლის პირდაპირი ჩამოყალიბების ცდას. მიუხედავად გაფრთხილებისა და მიუხედავად იმისა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა ეს დოკუმენტი შეაფასეს როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე არსებით არა სწორი დოკუმენტი, დაჯგუფების წარმომადგენლები ცენტრალურ კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თავიანთ ანტიპარტიულ ბრძოლას განაგრძობდნენ ძალების განაწილებით, ყალბი ინფორმაციით პარტიული ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე მზადებით აშკარა გამოსვლისათვის. გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“-სა და „ვიშკა“-ს მეორე ბუხტში ჩამორჩენის ფესვების გამოაშკარავებას დაჯგუფების წარმომადგენლები შეხვდნენ აშკარა გამოსვლით აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ.

თვითკრიტიკის ჩახშობის განსაკუთრებით უმსგავსო ხერხებით („ბაკინსკი რაბოჩი“-ს გამოცვლილი რედაქციის გაძევება ბუხტიდან) და შინაპარტიული დემოკრატიის უხეში დარღვევით რევანშისტები, აგრეთვე დაჯგუფების წარმომადგენლები შეეცადნენ ჩაეშალათ ბაქოს ორგანიზაციის ბრძოლა ნავთის ამოღების იმ გეგმის შესრულებისათვის, რომელიც დაამტკიცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, და ბაილოვის პარტორგანიზაცია ჩაეთრიათ ანტიპარტიულ ჯგუფურ ბრძოლაში.

რამდენიმე დღის განმავლობაში ბაქოს მთელმა ორგანიზაციამ დაუზოგავად გაანადგურა რევანშისტები, აგრეთვე დაჯგუფების წარმომადგენელი და სავსებით გამოაშკარავა მათი ოპორტუნისტული ბუნება. ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაცია, რომელმაც ბოლშევიკური კრიტიკა გააჩაღა, რკინისებური რაზმებით შემჭიდროვდა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის გარშემო და თავისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დახმარებით წინააღმდეგობა გაუწია რევანშისტებისა და დაჯგუფების წარმომადგენელთა — კასიმოვის, ზეინალოვის, ასრიევის, მუშკოვის, სურიკოვის, ყარაევის, რაჯაბოვის და სხვათა ანტიპარტიულ უპრინციპო ბრძოლას. ბაქოს კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ბრძოლა ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაციის უპრინციპო დაჯგუფების მხილებისა და ლიკვიდაციისათვის დამთავრდებოდა უფრო სწრაფად და ნაკლები დანაკლისით ორგანიზაციისათვის, რომ ერთ პერიოდში ადგილი არ ჰქონოდა გაურკვევლობას და ამ საკითხების გადაჭრის დაგვიანებას ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მხრით, რაც საგრძნობლად აიხსნება იმით, რომ რევანშისტებს, აგრეთვე დაჯგუფების წარმომადგენლებს მხარს უჭერდა ამხ. იაკოვლევი ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ყოფილი მესამე მდივანი. მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის —ამხ. სტალინის უშუალო დახმარებით, ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა 30 აგვისტოს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა სწორ შეფასებას და საჭირო დასკვნებს უპრინციპო დაჯგუფების მიმართ.

პლენუმი აღნიშნავს იმ შეცდომებს, რომლებიც დაუშვა „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციამ თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტებთან დაკავშირებული საკითხების ამიერ-კავკასიის პრესის ფურცლებზე გაშუქების დროს, აგრეთვე ორგანიზაციაში აღმოჩენილ დაჯგუფების პოლიტიკური შეფასების დროს. და სთხოვს ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტს —უზრუნველყოს აღნიშნული შეცდომების რაც შეიძლება მალე გამოსწორება.

პლენუმი აღნიშნავს თურქულ და სომხურ გაზეთების —„კომუნისტი“-ს რედაქციების მიერ დაშვებულ სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს —აღნიშნულმა გაზეთებმა პრესის ფურცლები გამოიყენეს დაჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ. პლენუმს საჭიროთ მიაჩნია, რომ აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ბიურომ მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გაზეთების სწორ პოლიტიკურ ხაზს.

ბაქოს კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებულად აღნიშნავს რევანშისტების —დაჯგუფების წარმომადგენლების აღმაშფოთებელ ანტიპარტიულ ცდებს —ჩაეთრიათ კომკავშირული ორგანიზაცია ბრძოლაში პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და დაეპირისპირებინათ კომკავშირი პარტიისათვის. ბაქოს კომიტეტის პლენუმი სავსებით სწორად სთვლის გადაწყვეტილებებს კომკავშირის ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და აზერბეიჯანის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ბიუროებისას, რომლებმაც გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ ცდებს და კომკავშირის ხელმძღვანელობის წრიდან გააძევეს დაჯგუფების წარმომადგენლები —რაჯაბოვი, რომანოვსკი და სხვები, პლენუმი აღნიშნავს იმ არა სწორი პოზიციის დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც დაიჭირა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ფრაქციამ თავმჯდომარის ამხ. ამირ ასლანოვის —ჯგუფური ბრძოლის ერთ - ერთ აქტიური მონაწილის მეთაურობით, და ავალებს ბიუროს —გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიებანი აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მტკიცე პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

ბაქოს კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით უერთდება ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებას და მოუწოდებს მთელ ბაქოსა და აზერბეიჯანის ორგანიზაციას ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოსპოს დაჯგუფების ნაშთები ორგანიზაციაში, აგრეთვე შექმნას ყველა საჭირო პირობები იმისათვის, რომ მთელი ორგანიზაცია დაჩქარებით გადავიდეს საქმიან მუშაობაზე პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. პლენუმი წინადადებას აძლევს ბიუროს მთელი ორგანიზაციის ყურადღება მიაპყროს უახლოეს გადაუდებელ ამოცანებზე, —ბრძოლაზე ნავთის, ბამბის აღების და ტრანსპორტის მუშაობის გეგმების შესრულებისათვის, აზერბეიჯანის საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მუშათა მომარაგების და კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პროლეტარიატის ახალი კადრების, განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული კადრების ჩაბმისა და ახალი, განსაკუთრებით თურქი კადრების დაწინაურებისათვის მეურნეობისა და მართვა - გამგეობის ყველა დარგებში, ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისათვის, ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების, დიდმპყრობელურ და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

პლენუმი გაფრთხილებას იძლევა, რომ ყოველგვარი უმნიშვნელო ცდაც კი, ვისი მხრიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი—განაგრძონ უპრინციპო ბრძოლა, აგრეთვე დაჯგუფება —მთელი ორგანიზაციის მიერ შეფასებული იქნება, როგორც ჩაშლა საქმიანი მუშაობისა პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის და როგორც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პირდაპირი დირექტივების დარღვევა, და გამოიწვევს მკაცრ პარტიულ სასჯელს პარტიის რიგებიდან გარიცხვამდე.

უდიდესი ამოცანები მომავალ მუშაობაში ბაქოს ბოლშევიკებმა უნდა გადასჭრან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის იმ უკანასკნელი მითითებათა საფუძველზე, რომლებიც გვიკარნახებენ მთელი მუშაობის გარდაქმნას ახალ წესზე სამეურნეო მშენებლობის ახალ პირობებში.

ბაქოს კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ბაქოს ორგანიზაცია, რომელიც ანმტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო პოლიტიკურ სიძლიერეს, იყო, არის და იქნება ამიერ - კავკასიის ხელმძღვანელი რაზმი სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს.

გაუმარჯოს ა.-კ. ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტს!

გაუმარჯოს ბაქოს ორგანიზაციას —პარტიის გენერალური ხაზის ერთგულ დასაყრდენს!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და ბაქოს კომიტეტს!

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად. (ადს)

## მობილიზებული ამხანაგები

### დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ რაიონში

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების საფუძველზე ცეკას კადრების განყოფილების მიერ „120“-ის ანგარიშში მობილიზებული ამხანაგები, რომლებმაც მიიღეს მივლინების ბარათები სოფლად პარტიულ და საბჭოთა ხაზით მუშაობისათვის, დღემდე არ გამგზავრებულან რაიონებში დანიშნულებისამებრ.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება კატეგორიულ წინადადებას აძლევს მობილიზებულ ამხანაგებს, დაუყოვნებლივ გაემგზავრონ ადგილებზე და შეუდგნენ მუშაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიის რიგებიდან მათი გარიცხვისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავამაღლოთ სოფლის პარტუჯრედების ხელმძღვანელი როლი

## საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

### აღმოვფხვრათ სანარდო სისტემის ოპორტუნისტული შეუფასებლობა

(სამტრედიის რაიონი)

საჯევახოს პარტ. უჯრედს დღემდე არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა ახალი ფორმების და მეთოდების მიხედვით. ყურადღების ცენტრში არ მოუქცევია საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები და არ გაუძლიერებია სხვა ორგანიზაციებზე პარტხელმძღვანელობა.

საჯევახოში განვითარებულია მებრეშუმეობა და მევენახეობა, ვრცელდება ჩაი, არახისი და სოია. მარცვლეულ დარგში: სიმინდი და ლობიო. საჯევახოს კოლმეურნეობებს გეგმის მიხედვით აქვს შემდეგი ნათესები: სიმინდი 742 ჰექტ., ლობიო 17 ჰექტ., ტექნიკური კულტურები: ბამბა 6 ჰექტ., თამბაქო 10 ჰექტ., კენაფი 15 ჰექტ., სოია 280 ჰექტარი, არახისი 13 ჰექტარი, კარტოფილი 11 ჰექტარი, ბოსტანი 18 ჰექტარი და სხ. სულ დათესილია 1.281 ჰექტარი. ნათესების გათოხნის საკითხი ძალიან ცუდად დგას, სოია გეგმით განზრახულის მხოლოდ 7 პროცენტი დღემდე გათოხნილი.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხი არ არის მოწესრიგებული. ადგილი აქვს სანარდო სისტემის შეუფასებლობას. სოფ. პირველი ნიგოიზის კოლმეურნეობა „წინსვლაში" დღემდე არაა გატარებული სანარდო სისტემა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილარიონ თარგამაძე აცხადებს რომ: „არაა საჭირო სანარდო სისტემა, ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და ერთად გავინაწილებთ"-ო.

სანარდო სისტემის შეუფასებლობის გამო ზოგიერთ კულტურების მოვლის საქმე ჩაშლილია. სანარდო სისტემის ასეთი ოპორტუნისტული შეუფასებლობა დროზე უნდა აღიკვეთოს.

შრომის აღრიცხვის საკითხი ძლიერ მოისუსტებს; პარტუჯრედი ამას ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას. არც ერთი კოლმეურნეობის ბრიგადებში არ ირიცხება პარტიის წევრკანდიდატი. ზოგიერთი პარტიის წევრ-კანდიდატები გაურბიან კოლმეურნეობაში მუშაობას.

1930 წელს საჯევახოს კოლმეურნეობებმა დაამუშავეს 51 ჰექტარი ჩაი. წელს პირველი და მეორე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მესამე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული იყო 50 ჰექტ. ჩაის ნიადაგის დამზადება, მაგრამ დღემდე ჩაისათვის არც ერთი ჰექტარი არაა დამზადებული. ივლისის და აგვისტოს გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა, რაც შედეგია კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებისადმი ნაკლები ყურადღების მიქცევის; სრულებით მოუგვარებელია კოლმეურნეობებში სურსათ-სანოვაგით მომარაგების საკითხი. ამ მდგომარეობას სათანადო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაქციონ ყურადღება;

ჩაის პლანტაციების საგრძნობი ნაწილი მოუვლელია და მას პირუტყვი ანადგურებს. სასოფლო საბჭო ვერ იღებს სათანადო ზომებს ამის წინააღმდეგ; სახკომსაბჭოს დადგენილება ჩაის მოვლის შესახებ არაა განხორციელებული, სოფ. ტოლებში 8 ჰექტარი ჩაი წამხდარია მოუვლელობის გამო; რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ჩაის ნიადაგის დამზადების გეგმის შესრულებისათვის.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ვერაა სათანადოთ გაშლილი. პარტიის და კომკავშირის არც ერთი წევრი არ იღებს მონაწილეობას სოცშეჯიბრში და დამკვრელობაში;

პარტიის დირექტივა ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ ჯერ კიდევ არ არის ცხოვრებაში გატარებული. ღარიბთა ჯგუფები არსებობენ სასოფლო საბჭოსთან, კოოპერაციასთან ცალკე სოფენი კოლმეურნეობებში, მაგრამ მათ შორის მუშაობას არ აქვს სისტემატიური ხასიათი.

ადგილი აქვს ქალთა შორის მუშაობის შეუფასებლობას. კომუჯრედში არც ერთი ქალი არ ირიცხება, არ იწვევა ქალთა კრებები, არაა ჩაბმული ქალები პარტგანათლების ქსელში და სხვა. აღსანიშნავია ის, რომ რაიკომის ქალთა სექტორის ხელმძღვანელობა ძალზე სუსტია.

საჯევახოს პარტუჯრედში არსებობს მხოლოდ ერთი პარტსკოლა, სადაც ჩაბმულია 33 მსმენელი. აქედან პარტიის წევრ-კანდიდატის მხოლოდ 10-ია. პარტუჯრედის მდივანმა ამხ. გეგიძემ ვერ უზრუნველყო მეცადინეობის ჩატარება, რის გამო სამჯერ ზედიზედ ჩაიშალა მეცადინეობა. დღემდე მხოლოდ ერთი მეცადინეობაა ჩატარებული.

პირველ იანვრიდან დღემდე კომუჯრედში მიღებულია მხოლოდ 5 წევრი და 2 კანდიდატი, კომკავშირელ დამკვრელ კოლმეურნეთა მიღებას პარტიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. მომავალში პარტიის ზრდას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. პარტიაში მიღებული უნდა იქნეს საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნენი.

კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აერთიანებს 6 საკოლმეურნეო უჯრედს, რომლებშიაც ირიცხება სულ 274 წევრ-კანდიდატი, აქედან 42 ქალია. კომკავშირის უჯრედმა მოაწყო 22 შაბათობა. დამუშავებული იქნა 8 ჰექტარი ჩაის ნათესი. 11 ჰექტარი სოია. კომკავშირის წევრები მთლიანად არიან გაერთიანებული კოლმეურნეობაში, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი მონაწილეობა გეგმების შესრულებაში ძალიან სუსტია. ადგილი აქვს ფიზიკურ სამუშაოსთვის გვერდის ავლის ცდებს, სიმულიანტობას და სხვა. კომკავშირმა ვერ აწარმოვა სათანადო მუშაობა სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლისათვის კოლმეურნეობაში.

მასიური მუშაობას კოლმეურნეობათა შორის არავითარი ყურადღება არ ექცევა. ქოხ-სამკითხველოს ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვია კოლმეურნეობაში კულტურულ მუშაობისაკენ. გამოდის კედლის გაზეთი „გლეხის ხმა". კედლის გაზეთს მუშკორებს შორის მუშაობისათვის არაფერი არ გაუკეთებია; სამტრედიის სარაიონო გაზეთს „სოციალისტური შტურმი"-ს ხელმძღვანელობა ძირეულ პრესაზე სუსტია.

მომავალში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო კედლის გაზეთის მუშაობის გამოცოცხლებას. პარტუჯრედმა ღია კრებაზე ფორმალურად დაამუშავა საქ. კ. კ. პ. (ბ) ცკ-ის ივნისის პლენუმის დადგენილებანი. არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ არის გადადგმული ივნისის პლენუმის დადგენილებათა და ამხ. სტალინის სიტყვის ცხოვრებაში გასატარებლად.

პარტუჯრედის კრებაზე არ დამუშავებულა ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხები. ზოგიერთი პარტხელმძღვანელი ამხანაგები აცხადებენ, რომ „არ აქვს ადგილი მემარცხენე ოპორტუნიზმის კონკრეტულ გამოხატულებას". სინამდვილეში კი არის ფაქტები სანარდო სისტემის და შრომის ახალი ფორმების შეუფასებლობის; პარტიის წევრი შანიძე არ შევიდა კოლმეურნეობაში; ამაზე უჯრედს არავითარი ზომები არ მიუღია.

საჯევახოს პარტორგანიზაციამ უნდა გაშალოს პარტიულ-მასიური მუშაობა. კომუჯრედმა მუშაობის გარდაქმნა უნდა უზრუნველყოს საქ. კ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებათა საფუძველზე.

სამტრედიის რაიკომმა უნდა გააძლიეროს თავის ხელმძღვანელობა საჯევახოს პარტორგანიზაციაზე;

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

### ღარიბთა შორის მუშაობა სუსტად სწარმოებს

სენაკის რაიონის პარტორგანიზაციამ დაამუშავა საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პლენუმის და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1-ლ აგვისტოს დადგენილება სოფლად პარტმუშაობის შესახებ. რაიკომის ბიუროს შემუშავებული აქვს პარტუჯრედების ორგანიზაციულ სტრუქტურის გარდაქმნის ოპერატიული გეგმა, რომლის რეალიზაციისათვის მობილიზაციაქმნილია პარტიული აქტივი. უჯრედებზე მიმაგრებულია რაიკომის ბიუროს და პლენუმის წევრები. რაიკომის აპარატის მუშაობის გარდასაქმნელად, რაიკომმა შეარჩია შტატს გარეშე ინსტრუქტორთა კადრი 26 ამხანაგის შემადგენლობით.

რაიკომთან ყალიბდება სხვადასხვა სექტორები, ცკ-ის სოორგანიზაციო აპარატის სტრუქტურის მსგავსად. სექტორების ჩამოყალიბებას ედება საფუძვლად საწარმოო პრინციპი.

უჯრედები დაყოფილია საწარმოო ხასიათის მიხედვით. მაგალითად, თუ აქამდის რაიონის ყველა, როგორც მუშურს, ისე საკოლმეურნეო და სასოფლო უჯრედს ერთნაირი დირექტივა ეძლეოდა, მომავალში ეს ასე არ იქნება. სამრეწველო და მუშურ უჯრედებს მიეცემა საწარმოო საკითხებთან დაკავშირებული დირექტივები.

ამავე პრინციპის მიხედვით ეწყობა კომკავშირის, პროფკავშირის, რაიალმასკომის საკონტ. კომისიის და რაიკოლმეურნეობის კავშირის აპარატიც.

რაიკომმა ცკ-ის დადგენილების მიხედვით სოფლად ძირეულ სამუშაოზე გადააგზავნა 5 პასუხისმგებელი ამხანაგი.

კომკავშირის რაიკომის მიერაც გაგზავნილია სოფლად სამუშაოდ 4 ამხანაგი.

სენაკის ორგანიზაციას აქვს მიღწევები პარტიულ მუშაობის გარდაქმნაში. ჯერ კიდევ აპრილ-მაისში მსხვილ საბჭოთა და კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულ იქნა პარტუჯრედები, პარტბიურო-კოლექტივები და სამი ახალი კ. კ. უჯრედი, ყველა უჯრედები გადასულია სექტორულ მუშაობაზე; კოლმეურნეობებში, საწარმოებში და ბრიგადებში სამუშაოდ გამოყოფილი იქნენ პარტორგანიზატორები;

მიღწევებთან ერთად პარტუჯრედების მუშაობას აქვს ნაკლიც. უჯრედები არ ისმენენ პარტორგების მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ. არაა დამაკმაყოფილებელი ზოგიერთი უჯრედების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, თესვის კამპანიაზე, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე, სანარდო სისტემის შემოღებაზე და სხვ.

ღარიბთა შორის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, ასევე ითქმის ქალთა შორის მუშაობაზეც. ცენტრალური ორგანიზაციებს დღემდე არ მიუციათ სათანადო დებულება ღარიბთა ჯგუფების და ღარიბთა შორის მუშაობისათვის და, ადგილებზე მომუშავე ამხანაგები, ვერ ერკვევიან ამ საკითხებში.

პარტიის ზრდის მოწესრიგებას მთავარი ყურადღება ექცევა, ზოგიერთი უჯრედები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ამ მხრივ. არ სწარმოებს პარტიაში მისაღებ კანდიდატების წინდაწინ შესწავლა. რის გამო პარტიაში შემოსვლას ახერხებენ კლასობრივად მიუღებელი ელემენტები.

პარტმუშაობის გარდაქმნამ უნდა მოავლოს არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განმტკიცება.

ამ. ხახუბია.

### მოვახდინოთ ძირითადი გარდატეხა უჯრედების მუშაობაში

ვანის რაიონში პარტუჯრედებმა დაამუშავეს ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილება სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე რაიონში ჩამოყალიბდა 6 საკოლმეურნეო უჯრედი, მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია კოლმეურნეობებში, მათი გაზრდა განმტკიცების მიზნით.

ყველა უჯრედებში ჩამოყალიბდა სექტორები. რაიკომის სოორგანიზაციო განყოფილებასთან ჩამოყალიბებულია 3 სექტორი. სას. სამეურნეო, საწარმოო-ეკონომიური და პარტიის ზრდის მოწესრიგების: სექტორებს ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან რაიკომის ბიუროს წევრები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სხვა პარტიულ დავალებებიდან. სას. სამეურნეო სექტორი აწარმოებს მუშაობას კოლმეურნეობებში, სანარდო სისტემის გატარებისათვის, შრომის ორგანიზაციისათვის, მოსავლის სწორი განაწილებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობა დაყენებული იქნა თვითეულ კოლმეურნეობამდე, რამაც სათანადო შედეგი მოგვცა; თუ წინათ რაიონის სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის გატარებაში დამახინჯებას, ეხლა სანარდო მუშაობის ჩატარების შემდეგ თვითეულმა კოლმეურნემ იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს სანარდო სისტემას.

იმის შესამოწმებლად თუ როგორ არის მუშაობა კოლმეურნეობებში საშემოდგომო მოსავლის აღრიცხვის და განაწილების წინასწარი მზადების შესახებ ყველა კოლმეურნეობებზე მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას.

პარტიის ზრდისა და მოწესრიგების სექტორი აწარმოებს მუშაობას პარტიაში საუკეთესო დამკვრელ მუშებისა და აქტიურ კოლმეურნეთა მისაზიდათ. უპარტიო მუშების საკმაო ნაწილი ჩაბმულია პოლიტსკოლებში.

მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრი დღეს გადატანილია საწ. სათ. გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაზე. ამ მხრივ ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა, რომ შევავსოთ ყველა დანაკლისი, რომლებიც გვაქვს საწარმოო ფრონტზე გეგმების შესრულების საქმეში. ამ მხრით მუშაობის წარმოება ებდება საწარმოო ეკონომიურ სექტორს. ამ სექტორმა ფართოდ გაშალა მუშაობა, რაც შედეგად მივიღეთ ნაწილობრივი გარდატეხა წარმოებებში.

მუშები ასი პროცენტით ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული სოც. შეჯიბრებაში და დამკვრელობაში, არ არის აღმოფხვრილი გაუპიროვნება, ადგილი აქვს წამგლეჯობას, სიმულიანტობას და სხვ. მავნე შემთხვევებს. კომუჯრედებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ასეთ შემთხვევებს.

რაიკომის კულტპროპაგანდისტულ განყოფილებასთან შექმნილია სამი ძირითადი სექტორი: საყოველთაო სავალდებულო სწავლების, სხვა დასხვა პოლიტ. კამპანიების ჩატარების და პარტგანათლების.

გეგმაში შეტანილია თვეში ერთხელ სარაიონო ნაბეჭდი ფურცლის გამოშვება პარტმუშაკების სახელმძღვანელოდ.

პარტიული განათლების ფართოდ გაშლისათვის რაიონში გახსნილია 18 პოლიტსკოლა და სხვა მიმდინარე პოლიტწრეები, სადაც მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ადგილი ჰქონდა პარტკომკავშირის ზოგიერთ წევრების მიერ პოლიტსკოლების შეუფასებლობას. მათ წინააღმდეგ მიღებული იქნა სათანადო ზომები.

პ. ჭ.

### კომკავშირი სას.-სამ. თესვის ფრონტზე

კომკავშირის კასპის ორგანიზაციის ყველა უჯრედებში დამუშავდა საკავშირო კომკავშირის მე-9 ყრილობის და საკავშირო კომკავშირის ცკ-ის მეორე პლენუმის დადგენილებანი ორგანიზაციის ზრდის შესახებ.

უკანასკნელი თვის განმავლობაში ორგანიზაციაში მიღებულ იქნა 176 ახალგაზრდა, მათ შორის 58 მუშა, 11 მოჯამაგირე, 49 ღარიბი გლეხი, 29 საშუალო გლეხი, 12 ხელოსანი და სხვ. ახალ მიღებულებიდან 96 კოლმეურნეა და 46 ქალი.

ამჟამად სულ ორგანიზაციაში ირიცხება 1,112 კაცი. მე-9 ყრილობიდან დღემდე ორგანიზაცია გაიზარდა 279 წევრით.

13 უჯრედი გადაკეთდა საკოლმეურნეო უჯრედად. ჩამოყალიბდა 4 ახალი საკოლმეურნეო და ერთი საწარმოო უჯრედი.

კოლმეურნეობებში ჩაბმულია კომკავშირელთა საერთო რაოდენობის 74,3 პროცენტი. კომკავშირი აქტიურად იბრძვის მოსავლის აღებისათვის. ამ მიზნით ეწყობა შაბათობები კოლმეურნეობებზე და ქვრივ ობლებზე დასახმარებლად. შაბათობებით გაითოხნა სულ 46 ჰექტარი პურის ნათესი, 21 ჰექტარი სიმინდის და 20 ჰექტარი შაქრის ჭარხლის ნათესი. მომკილ იქნა 20 ჰექტარი პური, 20 ჰექტარი ქერი. შაბათობებში მონაწილეობა მიიღო 1.220 კომკავშირელმა, 230 პიონერმა და 195 უპარტიო ახალგაზრდამ.

კომკავშირის კასპის ორგანიზაციამ კიდევ უნდა გააძლიეროს მუშაობა კოლმეურნეობათა მშენებლობის განმტკიცებისათვის.

დამკვრელი.

### პარტხელმძღვანელობის გარდაქმნის შედეგები

(წერილი ზესტაფონიდან)

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ივლისის პლენუმის და საქ. კომპარტიის ცკ-ის პირველ აგვისტოს დადგენილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული პარტმუშაობის გარდაქმნის პრაქტიკული ამოცანები.

რა გაკეთდა ამ დადგენილებათა გატარების საფუძველზე ზესტაფონის რაიონში პარტუჯრედების ორგანიზაციულ სტრუქტურის გარდაქმნის სფეროში.

ფერო-მარგანეცის მშენებლობაზე პარტიულ მუშაობის სიმძიმის საამქროებსა და ბრიგადებში გადატანამდე ყველა დეკადებსა, თვეებსა და კვარტლებში ადგილი ჰქონდა საწარმოო-საამშენებლო გეგმის ჩაშლას, გეგმების შესრულება საერთოდ არ აღემატებოდა 50-60 პროც. მხოლოდ ცალკე ობიექტებში, როგორიცაა: რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაყვანა შორაპნიდან ზესტაფონამდე, გეგმა სრულდება 35-48 პროცენტით. მშენებლობაზე ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ჩახშობას. რამოდენიმე ათასი მანეთის გადახარჯვას და სხვ. ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე პარტიული ორგანიზაცია არ აწარმოებდა პარტიულ-მასიურ მუშაობას. ორგანიზაცია ვერ ჩაუდგა სათავეში მუშების შრომითი ენთუზიაზმს. პარტიის წევრები არ იყვნენ ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელობაში, ადგილი ჰქონდა ცრუ-დამკვრელობას. ადგილობრივი პარტორგანიზაცია ვერ აწარმოებდა გადამჭრელ ბრძოლას ორ ფრონტზე. მშენებლობაზე თავი მოიყარა 30-მა სოციალურად უცხო ელემენტმა, სისხლის სამართლის დამნაშავეებმა და ყოფილ მავნებელმა სპეციალისტებმა. (გაუსმანი, ამალონსკი).

ფერო-მარგანეცის ქარხნის ირგვლივ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებათა საფუძველზე გარდაქმნილ იქნა პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, მიღებულ იქნა გადამჭრელი ზომები ფერო-მარგანეცზე არსებულ დეფექტებისა და გარღვევების ლიკვიდაციისათვის; ერთი პარტუჯრედის მაგიერ გამოიყო სამი პარტიული უჯრედი, შეიქმნა პარტბიურო-კოლექტივი, ყველა საამქროში, არტელებში და ბრიგადებში ჩამოყალიბდა პარტჯგუფები. ორგანიზაციაში მიღებულ იქნა საუკეთესო დამკვრელი მუშები. პარტიის წევრები განაწილდა საამქროებსა და ბრიგადებში; პარტორგანიზაციამ აიღო ბოლშევიკური ტემპები, დარაზმა მუშათა მასა საფინანსო საამშენებლო გეგმის შესრულებისათვის. მიღებულ ღონისძიებების შედეგად ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობის უკანასკნელი კვარტალის საფინანსო-საამშენებლო გეგმა 114 პროც. შესრულდა.

ძიროვის ცეცხლგამძლე აგურქარხანაში არსებობს 5 საამქრო. იყო ისეთი საამქრო, სადაც პარტიის არც ერთი წევრი არ იყო. დანარჩენ საამქროებში მომუშავე კომუნისტები არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. პარტიული მუშაობის მთელი სიმძიმე არ იყო გადატანილი საამქროებში, პარტუჯრედს გამოქონდა მხოლოდ ზოგადი ხასიათის დადგენილებები და არავითარ ზომებს არ ღებულობდა პარტიის წევრების ხელმძღვანელ როლის გასაძლიერებლად ქარხანაში, სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო უჯრედის წევრების 30 პროც., აქედან 10 პროც. ცრუ-დამკვრელები იყვნენ. ქარხანაში ადგილი ჰქონდა გეგმის ჩაშლას, უჯრედი არავითარ ზომებს არ ღებულობდა გარღვევების ლიკვიდაციისთვის.

რაიონული კომიტეტის საწარმოო სექტორთან არსებულ პარტმშენებლობის დარგის ხელმძღვანელობით გარდაიქმნა პარტუჯრედის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამჟამად ყველა საამქროებში პარტჯგუფებია. ყველა საამქროებში სჩანს პარტიის ხელი. პარტუჯრედი სათავეში ჩაუდგა მუშათა შრომითი ენთუზიაზმს. უჯრედი და პარტჯგუფები სისტემატიურად ისმენენ საამქროს ხელმძღვანელების მოხსენებას საფინანსო-საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

ტყვრის ქარხანაში ადგილი ჰქონდა გეგმის შესრულების ჩაშლას. გეგმა სრულდებოდა 38 პროც. პარტიის წევრები სრულიად არ ღებულობდნენ მონაწილეობას შრომის სოციალისტურ მეთოდებში, ქარხნის ხელმძღვანელობა დაყრდნობილი იყო თვითდინებაზე და გეგმის შეუსრულებლობას „ობიექტიური" მიზეზებით ხსნიდენ.

საამქროებში და ბრიგადებში არ იყო პარტიის წევრები სათანადოთ განაწილებული. ეხლა საამქროებში შექმნილია პარტჯგუფები, პარტმუშაობის გარდაქმნამდე საკაროვნო საამქრო ტვირთავდა ყოველდღიურად 77 ვაგონეტკას (გეგმით კი უნდა დატვირთა 120 ვაგონეტკა.

ეხლა კი საშუალოდ ყოველდღიურათ იტვირთება 145 ვაგონეტკა. ყველა კომუნისტები ჩაბმულია სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში. სამექანიკო საამქრო ყოველდღიურათ უშვებდა 15.000 ცალ აგურს, ეხლა კი უშვებს 28.000 ცალს.

ზესტაფონის რაიონში რკ. გზის ხაზზე არსებობდა მხოლოდ 6 უჯრედი. შორაპნის და ზესტაფონის საუბნეებში და მოძრაობის დარგში მთელ რიგ ნაკლოვანებას ჰქონდა ადგილი. პარტიულ ძალების ცუდად განაწილების გამო პარტიის არც ერთი წევრი არ იყო საამქრო ბრიგადებში.

რკინის გზაზე პარტუჯრედების ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ. მდგომარეობა შეიცვალა, თუ წინათ რკინის გზაზე არსებობდა მხოლოდ 6 უჯრედი, ეხლა არსებობს 14 უჯრედი და 17 პარტჯგუფი. ამჟამად არც ერთი საამქრო და ბრიგადა არ არსებობს პარტჯგუფებისა და პარტორგანიზაციების გარეშე. პარტჯგუფებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები და კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევენ წარმოების საკითხებს. ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ გაიშალა პარტიულ-მასიური მუშაობა, ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა საამქროებსა და ბრიგადებში. ამის შემდეგ შორაპნის და ზესტაფონის საუბნეებში და მოძრაობის დარგებში მდგომარეობა შეიცვალა. მაგ., მიმდინარე შეკეთებაზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 11 პროც., თვითღირებულება შემცირდა 29 პროც. ვაგონების წლიურ განახლებაზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16,4 პროც., თვითღირებულება შემცირდა 28,4 პროც., რონოდების მიმდინარე შეკეთებაზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 24,9 პრ., თვითღირებულება შემცირდა 23,4 პროც.

შორაპნის საუბანში ორთქლმავალთა გუნდის პარტჯგუფის მიერ გამომჟღავნებულ იქნა ხელფასის გათანაბრების ფაქტები. მაგ., სავაგონო საამქროს ზეინკალი და დამხმარე ერთნაირ ხელფასს იღებენ. მიღებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

პარტჯგუფების მიერ შემოწმებულ იქნა კომუნისტებისა და კომკავშირელების სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში მონაწილეობა. სამი აღმოჩნდა ცრუ დამკვრელი, რაზედაც მიღებული იქნა სათანადო ზომები.

ზესტაფონის საუბანში პარტმუშაობის გარდაქმნამდე გეგმები არ სრულდებოდა, უჯრედს სამი თვის განმავლობაში არც ერთხელ არ განუხილავს გეგმის შესრულების საკითხი. აქ ირჩეოდა მხოლოდ მოსული დირექტივები და ამასაც ცნობათ ღებულობდენ. ეხლა პარტჯგუფები და უჯრედი ყოველ დეკადაში ისმენს გეგმის შესრულების საკითხს. გაიშალა პარტიულ-მასიური მუშაობა; მუშაობის სიმძიმე საამქროებში და ბრიგადებშია გადატანილი. სოფლის პარტორგანიზაციის სტრუქტურის გარდაქმნამდე რაიონში არსებობდა მხოლოდ სასოფლო პარტუჯრედები. მთელი რიგი სოფლებისა და კოლმეურნეობების მოწყვეტილი იყვნენ პარტუჯრედების ხელმძღვანელობას: ზოგიერთი სასოფლო პარტუჯრედები შემთხვევით ისმენდენ ამა თუ იმ კოლმეურნეობის მოხსენებებს. და ღებულობდენ ცნობად და სახელმძღვანელოდ (კლდეეთი, ილემი, ალავერდი, ფუთის უჯრედები და სხვ.), სოფ. ილემში კომუჯრედი არაფერს არ აკეთებდა სანარდო სისტემის გატარებისათვის. უჯრედი არ ღებულობდა კონკრეტულ ღონისძიებებს. საწარმოო გეგმის შესრულებაზე. უჯრედი არ ხელმძღვანელობდა ღარიბთა ჯგუფებს. უჯრედს არ მოუსმენია კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის გატარების საკითხი, რაიკომიდან მიღებულ ღონისძიებებს ილემის, ფუთის და შორაპნის სასოფლო კომუჯრედები ღებულობდენ ცნობათ და არავითარ კონკრეტულ ზომებს არ ღებულობდნენ. ბიძგლის(?) წინააღმდეგ იყო კოლმეურნეობების დაარსების.

კლდეეთის პარტუჯრედში ადგილი ჰქონდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრებს და „მემარცხენე" ნახტომებს. მთელ რიგ უბნებსა და სოფლებში რაიკომმა აღმოაჩინა კულაკური მეურნეობანი, რომლებიც არ იქნენ შეყვანილნი კულაკთა სიაში და არ იყვნენ დაბეგრილი. ზოგიერთ უბნებსა და სოფლებში კი საშუალო გლეხები შეიყვანეს კულაკთა სიაში.

ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ სოფლის პარტმუშაობის მეთოდები და ფორმები არ იყო გარდაქმნილი, ჩვენი მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები ვერ უპასუხებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საკითხების ხელმძღვანელობის აუცილებელ პირობებს.

თუ წინათ რაიონში არსებობდა 10 სასოფლო უჯრედი, ამჟამად არსებობს 8 სასოფლო და 12 საკოლმეურნეო უჯრედი, და 8 პარტბიურო კოლექტივი, წინად საბჭოთა მეურნეობებში არ იყო კომუჯრედები. ამჟამად უჯრედი დაარსდა ვაჟევის საბჭოთა მეურნეობასთან, აჯამეთის და საქარის სადედე სადგურებთან და აჯამეთის მელიორაციის საბჭოთა მეურნეობასთან. გარდა ამისა, 12 კოლმეურნეობებში არსებობს საკოლმეურნეო უჯრედები.

კოლმეურნეობა „წითელ დროშა"-ში 1930 წელს მევენახეობაში დახარჯული შრომა უდრიდა 18 ჰექტარ ვენახზე 6470 შრომადღეს; 1931 წ. პარტორგანიზაციულ სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ, 81 ჰექტარ ვენახზე დაიხარჯა 3770 შრომა-დღე. გასულ წელს ერთი ჰექტარი ვენახის დამუშავებას დასჭირდა 360 შრომა დღე, წელს კი 188 შრომა დღე, მემინდვრეობაში დახარჯული იყო 28 ჰექტარზე 8385 შრომა-დღე, წელს კი 50 ჰექტარზე დაიხარჯა 2020 შრომადღე.

სოფ. კლდეეთის არტელში არ იყო პარტიის არც ერთი წევრი, სასოფლო უჯრედი მოწყვეტილი იყო ამ არტელს, ამის გამო არტელში გეგმები არ სრულდებოდა და გამგეობის თავმჯდომარეთაც მოექცა ყოფილი მევახშე.

პარტორგანიზაციის სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ უზრუნველყოფილია შრომის ორგანიზაციის სათანადო მოწესრიგება კოლმეურნეობაში, შემოღებულია სანარდო სისტემა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ქალთა არტელში პარტჯგუფმა გაიხი... გამომუშავების ნორმები, ამავე არტელში გაბრიგადებულმა ბრიგადამ შვიდი დღის ნაცვლად, სოია ოთხ დღეში გათოხნა. უნდა აღინიშნოს პირველი ხეირის მეორე უბნის არტელის მუშაობა. არტელში გაერთიანებულია 265 კომლი. მთლიანად გატარებულია სანარდო მუშაობა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, არტელის მუშაობაში აქტიურათ არის ჩაბმული ქალები. მაგ., ბრიგადამ მეხიშვილის ქალის ხელმძღვანელობით ხუთი შრომა-დღის სამუშაო სამ დღეში შეასრულა, ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო არტელში ქალთა ბრიგადამ ცხრა დღის სამუშაო 7 დღეში შეასრულა. ამავე არტელის ქალთა ბრიგადამ სოიას გათოხნა 11 დღის ნაცვლად 8 დღეში დაამუშავა.

ცხრაწყაროს არტელში ფუტკარაძის ბრიგადამ 6 დღის სამუშაო 4 დღეში შეასრულა. ქალთა ბრიგადამ ალექსანდრა დემეტრაძის ხელმძღვანელობით ათი დღის სამუშაო 8 დღეს შეასრულა. ამავე ბრიგადამ 1600 კვ. საჟენი სოია, რომელსაც 13 მამაკაცის მუშაობა სჭირდებოდა 10 დღეში შეასრულა.

საინტერესო ის არის, რომ არტელში თვითეულ ბრიგადას და ჯგუფს შემოღებული აქვს წესად: პატაკით მოახსენოს გამგეობას მიცემულ სამუშაოს შესრულების შედეგებზე. ამავე დროს პატაკის ასლი ეგზავნება იმ ბრიგადას და ჯგუფს, რომელიც არის გამოწვეული სოცშეჯიბრებაში, მაგ., მესამე ბრიგადა ასეთ პატაკს აძლევს გამგეობას:

„ცხრაწყაროს არტელის მესამე ბრიგადისაგან, ჩვენ გვქონდა აღებული სამუშაო მე-40 და მე-8 კვარტალი, რომლის დამუშავებისათვის საჭირო იყო 25 შრომა-დღე. ჩვენ მუშაობა 10 ივლისს დავასრულეთ, ნაცვლად გათვალისწინებულ 13 ივლისისა. გადავედით შემდეგ კვარტალში; 23 კაცის სამუშაო 19-მა შევასრულეთ".

ბრიგადირი აკაკი წერაძე.

„ა. წლის 29 ივლისს ქალთა ბრიგადამ 20 ქალის შემადგენლობით გამართა ერთი მეტეჯაო სოია, რომელიც უნდა დაემუშავებია 24 მამაკაცს. ჩვენი ბრიგადა თავს აცხადებს დამკვრელათ და იწვევს კლდეეთის და ტაბაკინის ქალების ბრიგადას".

ვინაიდან რაიონი წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობის რაიონს და ამასთანავე დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკურ კულტურების (სოია) განვითარებას, ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დასმულია მზადება ყურძნისა და ღვინის დამზადებისათვის და მიღებულია ზომები ტექნიკურ კულტურების განვითარების უზრუნველყოფისათვის;

რაიონულ ორგანიზაციების და პარტუჯრედების ორგანიზაციულ სტრუქტურის გარდაქმნამ, მუშაობის მთელი სიმძიმის საამქროებში და ბრიგადებში გადატანამ, პარტმუშაობის ფართოდ გაშლამ, კონკრეტული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო წარმოებაში საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას, მაგ., ფერო-მარგანეცში უკანასკნელი კვარტალის გეგმა შესრულდა 116 პროც. რკინის გზის ტრანსპორტზე ყველა ობიექტებში გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, (სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა და მასების დარაზმვა მიმდინარე საზ. პოლიტიკურ კამპანიების ირგვლივ).

მომავლისათვის უნდა ვეცადოთ ცალკე პარტჯგუფების და უჯრედების მუშაობის გამოცდილება გავუზიაროთ სხვა უჯრედებსაც, რომ ამით ხელი შევუწყოთ პარტმუშაობის გარდაქმნის საქმეს.

მიუხედავად ამ გარდატეხისა პარტიული მუშაობის გარდაქმნის საკითხში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული დეფექტი, საჭიროა დარაზმულ იქნეს პარტიულ ორგანიზაციების მთელი ყურადღება არსებულ დეფექტების აღმოფხვრისათვის.

მ. ზარიძე.

# სექტემბერი მრეწველობის ფრონტზე შეტევის თვეა

## გავაძლიეროთ ბრძოლა ჩამორჩენების აღმოსაფხვრელად

### სუსტი ხელმძღვანელობის გამო ბარიტის ამოღების გეგმა აგვისტოში მხოლოდ 26,6 პროც. შესრულდა

### ბარიტის წარმოება სამარცხვინოდ ჩამორჩა

აგვისტოში ბარიტის ამოღების გეგმა კვლავ სამარცხვინოთ ჩამორჩა. თვიური ამოღების გეგმა მხოლოდ 21,6 პროც. შესრულდა. ბარიტის წარმოების ხელმძღვანელობა კვლავ „ობიექტიურ მიზეზებს" ეფარება და მიზეზად ასახელებს მუშა-ხელის სიმცირეს, სინამდვილეში მთავარი მიზეზია მექანიზაციის მოუწყობლობა და გამოუყენებლობა. არ იქნა და არ მოწესრიგდა მაღაროებზე ცოცხალი, პრაქტიკული ხელმძღვანელობა, სუსტია მუშაობისადმი ზედამხედველობა, ადგილი აქვს მუშების გაქცევას, სამუშაო იარაღების შეკეთების მოლოდინში. პროფკავშირის ხელმძღვანელობა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისათვის და მასების ენტუზიაზმის გაღვივებისათვის არ სჩანს, განსაკუთრებით სუსტად წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა ახლად მოსულ გლეხებს შორის. ყველა ამის შედეგია ის, რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ ამოსაღებ 17.800 ტონა ბარიტისა, ფაქტიურად ამოღებული იქნა 3766 ტონა.

ბარიტის ხელმძღვანელობა თავის მუშაობაში დაყრდნობილია თვითდინებაზე, რასაც სასწრაფოთ უნდა მოეღოს ბოლო.

ვ. ლ—ი.

### გზატკეცილის მშენებლობა ჭიანურდება

ტყვარჩელმშენზე, კვეზანსა და აკარმარას შორის გზების გაყვანის საქმეში ბრიგადის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოამჟღავნა მთელი რიგი შეცდომები.

პირველყოვლისა გამოირკვა, რომ ეს სამუშაოები სწარმოებდა რამოდენიმე ორგანიზაციის მიერ პარალელურად, საჭირო შეთანხმების გარეშე, და ძალების და სახსრების სრულიად არა ეკონომიური ხარჯვის პირობებში, რომლებიც ხშირად ხელს უშლიდნენ ერთი-მეორეს.

მგ. გამზის ვიწრო ხეობაში, ერთდროულად დროს სწარმოებს გზატკეცილის, საჰაერო გზის, სადერივაციო არხის გაყვანა და კიდევ სწარმოებს გამოკვლევითი სამუშაოები რკინის გზის გასაყვანად.

გზატკეცილის მშენებლობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სამთო სამუშაოების გაშლა, მოკლებულია ხელმძღვანელობას, ძალზე ჭიანურდება და არის იმის საფრთხე, რომ 1932 წლის 1 იანვრისათვის, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, გზატკეცილი მზად არ იქნება.

საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება.

ვ.

### მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს

(ამხ. სუხიშვილის სახ. ქარხანა)

ამხ. სუხიშვილის სახელობის ქარხანა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმოებას წარმოადგენს თბილისში. ამ ქარხანაში სულ 9 საამქროა და მუშაობს 400-მდე მუშა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევრის საწ. საფ. გეგმა ქარხანამ მხოლოდ 45.4 პროც. შეასრულა, ხოლო ივლისის გეგმა 50,1 პროცენტით. ხარისხობრივი მაჩვენებლობის აღრიცხვიანობას ადმინისტრაცია არ აწარმოებს.

ჩამომსხმელ საამქროში მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში წუნდებული პროდუქცია 7,2 პროც. უდრიდა. შრომის ნაყოფიერება მიმდ. წლის 1-ლ ნახევარში ქარხანაში ერთ კაც-დღეზე უდრიდა 56,7 პროცენტს, ხოლო ივლისში კი 53,1 პროც. როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, ეს ქარხანა ძლიერ ჩამორჩა გეგმების, როგორც რაოდენობრივათ, ისე ხარისხობრივათ შესრულების საქმეში.

ქარხანა ჯერ კიდევ არაა მთლიანად გადასული საამქროო ანგარიშზე. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია მხოლოდ ლითონის, მეთუნუქის და ჩამომსხმელი საამქროები. სატარიფო განაკვეთების გადასინჯვა მხოლოდ ეხლა დაიწყეს.

ხელფასის პროგრესულ - პრემიალური სისტემის შემოღების დარგში უნდა ითქვას, რომ დღემდე არაფერია გაკეთებული. ხელფასის გაცემის ასეთ სისტემაზე ქარხნის ადმინისტრაციას ჯერ-ჯერობით არც ერთი საამქრო არ გადაუყვანია. ამ სისტემის შემოღებას აპირებენ 15 სექტემბრიდან, მაგრამ წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქარხანაში ამ ბოლო დრომდე გაშლილი არ ყოფილა მუშების შორის სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები სავსე იყო საერთო, ზერელე ხასიათის მუხლებით, არც ერთი საქმიანი მუხლი ამ ხელშეკრულებებში არ იყო შეტანილი. არც სოცშეჯიბრების და დამკვრელობის შედეგების აღრიცხვა სწარმოებდა. ამჟამად მუშების თაოსნობით შედგენილია სოცშეჯიბრების ახალი ხელშეკრულებები, რომლებშიაც შეტანილია სოცშეჯიბრების და დამკვრელობის პრაქტიკული ამოცანები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოცშეჯიბრების და დამკვრელობის შედეგების აღრიცხვა არც ეხლა წარმოებს. გაუპიროვნებასთან ბრძოლა ძალზე მოისუსტებს.

ქარხანაში კულტურული მომსახურება თითქმის არ არის. ქარხანას არა აქვს კლუბი, კრებები ქარხნის ეზოში იმართება. წითელი კუთხისა და სამკითხველოს შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქარხანაში არსებობს ტექნიკის დაუფლების ორი წრე. ერთი სამხაზველო წრე, რომელსაც თვითონ ქარხნის ინჟინერი ამეცადინებს და მეორე კი ჩამომსხმელი საქმის შემსწავლელი წრე. წრეებში ირიცხება თითქმის 30-35 კაცი, მაგრამ ფაქტიურად მეცადინეობას ესწრება 20-25 კაცი.

ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე მუშათა საზოგადოებრივი კვება. ქარხნიდან სასადილო დაშორებულია თითქმის ნახევარ კილომეტრის მანძილით. მუშები თავის დასვენების დროს მარტო სასადილოში მისვლას ანდომებენ.

ყველა ამ დეფექტებს დროზე უნდა მოეღოთ ბოლო, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

ა.—ძე

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"-ს დამკვრელი კომკავშირელი ამხ. გოგოლაშვილი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს

კასპი

### ბრძოლა ცემენტისათვის

კასპი, 8 სექტემბერი. (საქ. კორ.) 7 სექტემბერს კასპის ცემენტის ქარხანაში გამოიწვა 2846 კასრი, ანუ დღიური დავალება შესრულებული იქნა 110 პროც., დაიფქვა 3265 კასრი, გეგმა შესრულდა—102 პროც., გაიგზავნა—2486 კასრი, დავალების — 79 პროც.

### მოწინავეთა რიგებში

ქუთაისის ტანსაცმელების ფაბრიკა „მკერავი" თავდადებით იბრძვის პირველობისათვის.

აგვისტოში ფაბრიკის მუშებმა საწარმოო საფინანსო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული იყო 6960 ცალი პალტოს შეკერვა, ფაქტიურად დამზადდა 9250, შარვალი გეგმით უნდა შეკერილიყო 17.707 ცალი, ფაქტიურად შეკერა 18.134 ცალი, ხალათი უნდა შეკერილიყო 18.750 ცალი, ფაქტიურად კი შეიკერა 17.829 ცალი. საერთოთ ყველა სახის ტანსაცმელები უნდა შეკერილიყო 43.417 ც., შეიკერა 45.213, ანუ გეგმა 108,2 პროც. შესრულდა.

ფაბრიკას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივაც. გეგმით გათვალისწინებულზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 35 პროც.

ფაბრიკაში ფართოდაა გაშლილი სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა. ფაბრიკაში არსებულ სამკუთხედის მიერ ყურადღება ექცევა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, რის შედეგად წუნდებული პროდუქცია თანდათან კლებულობს.

ლი.

### შეცდომა, თუ ბოროტმოქმედება

ტყვარჩელმშენზე მშენებლობის საზიზღარი ტემპების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება აღვნიშნოთ დროებითი ელექტროსადგურის მშენებლობის ისტორია.

ამ სადგურის საძირკვლის ნახაზები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს 15 ივლისისა. ფაქტიურად ისინი წარმოადგინეს მხოლოდ 18 აგვისტოს. ამ დროს კი სთხრიდნენ საძირკველს დიზელებისათვის. ერთი საძირკველი უკვე ამოვსებული იყო ცემენტით, როდესაც „შემთხვევით" აღმოჩნდა, რომ ის არასათანადო ზომისაა, ე. ი. მისთვის არა სწორი ნახაზები ყოფილა მოცემული. ეხლა მთელი მუშაობა ხელახლა უნდა დაიწყოს. გამოყოფილია კომისია ამ აღმაშფოთებელი შემთხვევის გამოსარკვევად.

გეგმით ელექტროსადგური უნდა აგებულიყო 1 სექტემბრისათვის. ეხლა ცხადია, რომ მისი აგება საგრძნობლათ გაჭიანურდება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საჰაერო გზების გაყვანის შეფერხებას.

—ძი.

თბილისის დეპო. მუშა-ქალი სწავლობს დაზგასთან მუშაობას

# კასპის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა პურის დამზადების გეგმა

## პურის დამზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ტოლოშის, ადიგენის და ბაშკიჩეთის რაიონები

### ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღის სახელობის წითელი ქარავანი

6 სექტემბერი წარუშლელი დარჩება თელავის მცხოვრებთა ხსოვნაში. დილის 6 საათზე პიონერების საყვირმა აცნობა მშრომელ მოსახლეობას, რომ თელავს და სავლეთის მხრიდან მოადგა პურით დატვირთული ურმების წითელი ქარავანი.

ახმაურდა თელავის კომკავშირი, ჩამოდგა მწყობრად დარაზმული რიგებით და მუსიკით მიეგება დამკვრელ კოლმეურნე კომკავშირელთა ინიციატივით მოწყობილ წითელ ქარავანს.

სულ იყო—145 ურემი 4700 ფუთი პურით.

კომკავშირის თელავის ორგანიზაციამ ახალგაზრდათა მე-17 საერთაშორისო დღე აღნიშნა—პურის დამზადების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებით. ამ დღის აღსანიშნავად ფშაველის და ნაფარეულის კომკავშირმა პურის დამზადების საქმეში თავი დამკვრელად გამოაცხადა და წლიური გეგმები შეასრულეს.

პურის დამზადების სარაიონო შტაბმა ნაფარეულის კომკავშირის ორგანიზაცია დააჯილდოვა წითელი დროშით პურის დამზადების გეგმის 102,72 პროცენტით შესრულებისათვის 5 სექტემბრამდე.

— 145 ურემი პური, რომელსაც სახელმწიფოს ვაბარებთ ჩვენ, 145 ლახვარი და ტყვიაა კულაკებისათვის, ანტისაბჭოთა ელემენტებისათვის და მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის — აცხადებდნენ კოლმეურნე კომკავშირელები.

— ვიძლევით მტკიცე სიტყვას, რომ ჩამორჩენილობას პურის დამზადებაში დაკვრითი წესით გამოვასწორებთ და გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ, აცხადებენ ჩამორჩენილი სოფლების კომკავშირელები.

მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო ახალგ. მე-17 საერთაშორისო დღის სახელობის წითელი ქარავნისადმი, დამთავრდა. პურით დატვირთული 145 ურემი გაიგზავნა რკინის გზის სადგურზე „სოიუზხლები"-ს პუნქტისაკენ.

წითელი ქარავნის მოწყობაში თავი ისახელეს—ფშაველის, ნაფარეულის, ახმეტის, ზ-ხოდაშენის, იყალთოს და ქისტაურის ა.ლ.კ.კ. ორგანიზაციებმა.

არ. კოკილაშვილი.

### ბოლშევიკური ტემპების ნიმუში

(თელავი)

**5 სექტემბრისათვის ნაფარეულის და ფშაველის სასოფლო საბჭოებმა პურის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.**

ნაფარეულის სას. საბჭომ 5 სექტემბრისათვის დამზადა სულ—1632,27 ცენტნერი პური. აქედან კოლმეურნეობებში—490,06 ცენტნ.; კულაკურ შეძლებულ მეურნეობებში—289,95 ცენტ.; კონტრაქტაციით—88,62 ცენტნ.; თავისუფალი დამზადებით—723 ცენტ., მინდი სალეწ მანქანებიდან აღებული—40,58 ცენტნერი. პურის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია—102,72 პროც.

ნაფარეულის სასოფლო საბჭოს მისდევს ფშაველის საბჭოც. მას 5 სექტემბრისათვის დამზადებული ჰქონდა—1442,13 ცენტნერი. აქედან კოლმეურნეობებში—216,34 ცენტ., კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებზე მიცემულ მტკიცე დავალებით—224,52 ცენტნ.; კონტრაქტაციით—178,50 ცენტნერი, თავისუფალი დამზადებით—557,85 ცენტნ.; მინდი—269,92 ცენტნ.; წლიური დამზადების გეგმა შესრულა ამ საბჭომ—100,5 პროცენტით.

ნაფარეულის და ფშაველის სას. საბჭოებს ერთმანეთი გამოწვეული ჰყავდათ სოც. შეჯიბრებაში. შეჯიბრებიდან გამარჯვებული გამოვიდა ნაფარეულის სას. საბჭო, რომელმაც რაი-შტაბისაგან მიიღო ჯილდო.

რაიონის დანარჩენი საბჭოები მედგრად იბრძვიან პურის დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კორესპონდენტი.

### წინ წასულები

პურის დამზადებაში ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები აიღეს და გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს შემდეგმა კოლმეურნეობებმა:

**კასპის რაიონის კოლმეურნეებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს—253,6 პროც. ყარაიაზის—190 პროც. ალბულაღ - მანგლისის —125 პროც. და გორის—106 პროცენტით.**

სამარცხვინოდ ჩამორჩა ტოლოშის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც პურის დამზადების გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულეს—5,0 პროცენტით.

### პურეულის დამზადება

(კასპი)

პურის დამზადება კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს. 5 სექტემბრისათვის სულ დამზადებული იყო 138.500 ცენტნერი, რაც უდრის მთლიანი გეგმის—57,7 პროცენტს.

პურის დამზადებაში სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი—ადიგენის (11,6 პროც.), ტოლოშის (7,9 პროც.), და ბაშკიჩეთის რაიონები (24,7 პროც.) კასპის რაიონმა კი პურის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, (100,9 პროც.).

საერთოდ პურის დამზადება რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ლუქსემბურგის რაიონმა პურის დამზადების გეგმა 5 სექტემბრისათვის შეასრულა — 86,3 პროც., ბორჩალოს—84,6 პროც., ტფილისის—84,8 პროც.; გორის—80,9 პროც., ალბულაღ-მანგლისის—84,3 პროც., ლაგოდეხის—78,5 პროც., ახალციხის რაიონმა—71,8 პროც., ყვარლის—60.4 პროცენტით, თელავის—64,3 პროცენტი, გრუზკანის—65.9 პროც., სიღნაღის—47,7 პროც., სტალინისმა—45,9 პროც. და მცხეთის რაიონმა კი შეასრულა —41,7 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთს ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა გეგმის—59,8 პროცენტი. თიანეთს, რომელსაც უნდა დაემზადებია—2.000 ფ. და ახალქალაქის რაიონს —12.200 ფ. პური, დღემდე არ დაუმზადებიათ არც ერთი ცენტნერი პური.

კულაკური და შეძლებული მეურნეობებიდან პურის ამოღებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა: ადიგენის (გეგმის—3,1 პროც., დუშეთის (0,9 პროც.), ბაშკიჩეთის—(12,4 პროც., ყვარლის (25,9 პროც.) და ლაგოდეხის რაიონები (24 პროც.).

კულაკური მეურნეობებიდან მტკიცე დავალება დროზე და გადაჭარბებით გაიღო —კასპის რაიონმა (131 პროც.)

სუსტად მიმდინარეობს სათესლე სესხის შეგროვება, რომლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ—4 პროცენტით. ამ მხრივ ზოგან ადგილი აქვს თვითდინებაზე დაყრდნობას, „სათესლე სესხს ვალად აქვეთ და და სულ ერთია ვალს გადაიხდიან" (სიღნაღი, გორი).

ასეთი განწყობილებები ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქ. მემინდვრეთა კოოპერაციას არ მოეპოება ცნობები სამინდე გადასახადის შესახებ, მათი აზრით.

მექ—ლი.

### ლეწვა გვიანდება

ლაგოდეხი, 3 სექტემბერი. (საქ. კორ.) აგვისტოს უკანასკნელ ხუთდღიურში პურის დამზადება შემდეგ სურათს გვაძლევს: კოლმეურნეობებში დამზადებულია—3.120 ცენტ. მტკიცე დავალებით შეგროვილია—205 ცენტნერი, თავისუფალი დამზადებიდან—340 ცენტნერი და კონტრაქტაციით კი დამზადებულია 46 ცენტნერი პური. სულ დამზადებულია 18.573 ცენტნერი, რაც უდრის სარაიონო გეგმის 62,9 პროცენტს.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგან პურის სალეწი მანქანები შეუკეთებელია და უქმად დგას.

პურის ლეწვა გვიანდება,—საჭიროა ამ მდგომარეობას სასწრაფოდ მიაქციოს ყურადღება ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

მ. ბოკუჩავა.

სურათზე: პროფტექნიკური კომბინატის შენობა

ქარხანა „სერპ ი მოლოტ"-თან მოსკოვში მთავრდება პროფტექნიკური განათლების კომბინატის მშენებლობა. პროფტექნიკური კომბინატი გამოუშვებს უმაღლესი კვალიფიკაციის მუშა-სპეციალისტებს, ტექნიკოსებს და ინჟინერებს.

# საზოგადოებრივი კვება სოციალისტური მშენებლობის სამსახურში

## ქუთაისის და სამტრედიის მუშებმა უნდა მოაწყონ ნამდვილი მასიური კონტროლი საზოგადოებრივ კვებაზე

„ყოველი მუშა-პარტიის ყოველი წევრი, კომკავშირელი და პიონერი რიგში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ყველა მუშაკები ვალდებული არიან ნამდვილად უზრუნველყონ ნაყოფიერი ბრძოლა საზოგადოებრივი კვების ყველა დეფექტების წინააღმდეგ და გადააქციონ იგი უმნიშვნელოვანეს რგოლად მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობაში". (საკ. კ. პ. (ბ) ცეკა).

„ეხლა მუშა ის აღარ არის, რაც წინედ იყო. ეხლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს ისე იცხოვროს, რომ დააკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სურსათის მომარაგების მხრით, ბინის მხრით, კულტურულ და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრით. მას აქვს ამის უფლება და ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები". ი. სტალინი.

### ქუთაისის საზოგადოებრივი კვება მოუწესრიგებელია

**კომუნისტის დამკვრელ მუშათა რეიდი**

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციას მთელი რიგი რაიონული: პარტიული, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციები არ ესწრებიან; ამას ცხადჰყოფს „კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა რეიდების მიერ სავაჭრო და სხვა რაიონებში გამომჟღავნებული ფაქტები. ქუთაისში 31 აგვისტოს ჩატარებულ იქნა გაზ. „კომუნისტი"-ს და „ლენინის გზით"-ის დამკვრელ მუშკორთა მასიური რეიდი, რომელმაც ქუთაისის საწარმოების დახურული სასადილოები და კოოპერატიული ორგანიზაციები გამოარკვია და რომელმაც აღმოაჩინა მეტად აღმაშფოთებელი მდგომარეობა მუშათა საზოგადოებრივ კვების საქმეში; კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულება, სასადილოების ანტისანიტარული მდგომარეობა და ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში სასადილოების სრული მოუწყობლობა — აი ის აღმაშფოთებელი სურათი, რომლითაც ხასიათდება ქუთაისში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა.

**„შევიშულებაში ვიყავი"**

ქუთაისის „საზკვების" ავტონომიურ სექციას, რომელსაც აღნიშნული დადგენილება ყველაზე ადრე უნდა დაემუშავებია, იგი 31 აგვისტოსაც არ ქონდა დამუშავებული. ამის მიზეზად საზკვების ავტონომიური სექციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გოგოძირიძემ წამოაყენა „მისი შვებულებაში ყოფნა". რა თქმა უნდა, როდესაც მათ თვით არაფერი გაუკეთებიათ აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, მის ფართო მასებში პოპულარიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რაც ნათლად დაამტკიცა რეიდის დროს მოწვეულ თათბირზე სასადილოების გამგეთა განცხადებებმა: ისინი აშკარად აცხადებდენ: „ჩვენ მაგ დადგენილების შესახებ არაფერი არ ვიცითო".

არც ქუთაისის პროფსაბჭო ჩამორჩება „საზკვებს" ტემპებში. პროფსაბჭომ, როდესაც გაიგო მუშკორების ამოწმებს ცეკას დადგენილების რეალიზაციას, 31 აგვისტოს შეუდგა საჭირო ღონისძიებათა გამომუშავებას, მაგრამ, რადგან ვერ მოასწრო „მუშაობის" დამთავრება, საღამოს რედაქციაში მოწვეულ თათბირზე ვერ გამოცხადდა; მუშკორთა რეიდის ასეთ აშკარა შეუფასებლობისათვის პროფსაბჭოს მუშაკებმა პასუხი უნდა აგონ. მუშკორთა ბრიგადამ, რომელმაც გამოარკვია ქუთაისის პროფსაბჭო, ვერც ერთ კითხვაზე ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი, რადგან პროფსაბჭოს არაფერი გაუკეთებიათ სასადილოებისათვის კადრების მომზადების, ქალთა შრომის გამოყენების, სასადილოების გაფართოების და სხვა მიმართულებით. ქუთაისის სასადილოებში 60 პროცენტი მამაკაცები მუშაობენ; საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას დადგენილება, რომელიც ეხებოდა ქალთა შრომის გამოყენებას ქუთაისის ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დღემდე არ მოხვედრილა.

**რიონჰესის მუშები—ცუდი კვებაზე**

რიონჰესის „საზკვება" თავისი ბიუროკრატიული მუშაობით ხელს უშლის რიონჰესის მშენებლობის საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებას.

რიონჰესის „საზკვება" უნდა ამზადებდეს 4.800-დე სადილს, ფაქტიურად კი ამზადებს 4 ათასს, რაც ხშირად იწვევს მუშების უსადილოდ დარჩენას; „საზკვება" მშენებლობაზე მუშაობისათვის ხელს უშლის მუშებს ნორმალურ მუშაობაში. მათ არ აძლევენ სადილებს. ასე, მაგალითად, ამას წინად „ლენინის გზით"-ის რედაქციამ მოაწყო მუშკორთა მასიური შაბათობა, ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ; მუშკორები იმდენად ცხადი იყო, რომ რიონჰესის „საზკვება" გაფრთხილებული იყო წინასწარ, მან მაინც არავითარი ზომები არ მიიღო და მუშკორებს სადილი არ მისცა. ამის გამო მოწყობილი შაბათობაც ჩაიშალა. ასეთი მაგალითი გამონაკლისს რომ შეადგენდეს, კიდევ შეიძლებოდა შერიგება, მაგრამ საუბედუროდ, ხშირად აქვს ადგილი, ასეთ მოქმედებას. რიონჰესის მუშკოოპის აპარატი არ არის მოქმილი; სამუშაოზე ახლად მოსულ მუშებს მთელი დღე უხდებათ სირბილი რომ პურის ტალონები მიიღონ. მათ ხან ერთ ადგილას მიუთითებენ და ხან მეორეს. და ასე ცდება ძვირფასი სამუშაო საათები.

**ცეკავშირი და ქუთაისის რაიკავშირი არ ასრულებს ხელშეკრულებას**

მესამე კვარტალში ქუთაისის „საზკვებს" ავტონომიურ სექციას და რიონჰესის კოოპერაციას ცეკავშირიდან არაფერი არ მიუღიათ. მათ არა აქვთ ბრინჯი, მაკარონი, ზეთი და სხვ. ამის გამო სადილები მზადდება ძლიერ ცუდი ხარისხის. არც ქუთაისის რაიკავშირი ასრულებს მის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს — კომბოსტოს, კარტოფილის, ხახვის და სხვა ბოსტნეულის მოწოდების საქმეში; იგი ამ ორგანიზაციებს არც დამზადების უფლებას აძლევს ბაზარზე და ამით პირდაპირ არღვევს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს დადგენილებას რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სასადილოებს ეძლევათ სურსათ-სანოვაგის დამოუკიდებელი დამზადების უფლება.

**„საპონი არ გვაქვს და ვერ გავრეცხეთ"**

სასადილოების გამორკვევამ ცხადჰყო ის გარემოება, რომ სასადილოებში გამეფებულია ანტისანიტარული პირობები, სჭარბობს უსუფთაობა და სხვ. ამ მხრივ სანიმუშოთ საკმარისია დავასახელოთ რიონჰესის პირველი უბნის და სტამბის სასადილოები. რიონჰესის პირველი უბნის სასადილოში არეული ეყარა შაქარი, პური, ხახვი, პამიდორი, ნაგავი და სხვა რომლებიც მთლიანად სავსე იყო ბუზებით. საზარშავი ქვაბი, რომელიც „გარეცხილი" იყო, აღმოჩნდა ბუზებით სავსე. რიონჰესის ექიმმა ბუზების საწინააღმდეგოდ „გამოიგონა" მეტად „სერიოზული" ხერხი. სასადილოს გამგეს უთხრა: „თუ გინდა ბუზები მოისპოს, ორი კვირა დაკეტე სამზარეულოო". აი ბუზების წინააღმდეგ ბრძოლის „ორგინალური" ხერხი. ეს იმას ადასტურებს, რომ რიონჰესის ექიმებს არ აინტერესებთ სასადილოებში ჰიგიენური პირობების დაცვა, რასაც ადასტურებს ის ანტისანიტარული მდგომარეობა, რომელიც გამეფებულია სასადილოებში. სასადილოს თანამშრომელთა სპეცტანსაცმელი ისეთი ჭუჭყიანია, რომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ არ გარეცხილა ერთი წლის განმავლობაში და შეუძლებელი არის მისი პირვანდელი ფერის გამოცნობა.

სასადილოებში თეფშები ჭუჭყიანია, მათ უსუფთაო ჩვრებით სწმენდენ, რის გამოც ჭუჭყი მოწმენდის მაგივრად ემატება. სასადილოს კონტროლიორ-ექიმის ოქმებში სულ ერთი და იგივე შინაარსის შენიშვნებია გაკეთებული. მაგალითად: „სასადილოში სისუფთავე დამაკმაყოფილებელია, სადილები კარგი ხარისხისაა, თანამშრომელთა სპეცტანსაცმელი სუფთაა და სხვ.". ეს ამტკიცებს ექიმის უყურადღებობას სასადილოებისადმი და კაბინეტური შენიშვნების ხასიათს.

სტამბის სასადილოში არ სუფთავდება მაგიდები და თანამშრომლებს უსუფთაო სპეცტანსაცმელი აცვიათ. სასადილოში თავისუფლად შემოდიან მხურველები, თერძები და მუშებს სადილობის საშუალებას არ აძლევენ. სასადილოს არ არის წყალი; მუშები სამართლიან უკმაყოფილების გამოსთქვამენ სასადილოს თანამშრომლებზე, რომლებიც უხეშად ეპყრობიან მათ და მეტ პატივს სცემენ შემთხვევით მოსადილეებს. საჭიროა ბოლო მოეღოს სტამბის სასადილოში ასეთ მდგომარეობას. მთელი რიგი სასადილოები განიცდიან ბინების ძლიერ სივიწროვეს. მაგალითად, მაუდის ფაბრიკის სასადილო. სამეურნეო ორგანიზაციები ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ და არ ზრუნავენ სასადილოების ბინების გაფართოებისათვის, რაც აფერხებს წარმოების ნორმალურ მუშაობას. მაგალითად, მაუდის ფაბრიკაში ცვლაში უნდა ისადილოს 120 მუშამ, სასადილოში კი ეტევა მხოლოდ 60—70 კაცი, დანარჩენები რიგში სდგანან და ზოგჯერ ვერც კი ასწრებენ სადილობას; მუშები რომ უსადილოდ არ დარჩნენ დასვენებამდე სტოვებენ სამუშაოს და მოდიან სასადილოში. ეს იწვევს რამოდენიმე სამუშაო საათების გაცდენას და მანქანების მოუვლელობას.

**„სასადილო არა აქვთ"**

დაუშვებელია ის ბიუროკრატიული მიდგომა და უყურადღებობა, რომელსაც იჩენს ქუთაისის ორგანიზაციები „მკერავის" და ფეხსაცმლების ფაბრიკის მუშების კვებისადმი. აღნიშნულ ფაბრიკებში 500-მდე მუშა მუშაობს, მაგრამ მათ დღემდე სასადილო არა აქვთ. რამოდენიმეჯერ დასვა ფაბრიკის ორგანიზაციებმა ეს საკითხი, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია. ფეხსაცმლების ფაბრიკამ რამოდენიმე დღეა თავისი შინაგანი რესურსებით გააკეთა სასადილო, მაგრამ სურსათ-სანოვაგე და ინვენტარი მას არავინ მისცა. ეს იმ დროს, როდესაც ქალაქის „საზკვების" ავტონომიურ სექციის საწყობში ათასობით აწყვია თეფშები, ჭიქები და სხვ. მოწყობილობანი. როდესაც ამის შესახებ შეეკითხენ ქალაქის „საზკვების" სექციის გამგის მოადგილეს ბერიძეს, მან განაცხადა: „ისინი მესამე კატეგორიას ეკუთვნიან და მათ ჩვენ სასადილოს ვერ გაუხსნითო". ასეთი განცხადება მუშათა კვების აშკარა ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ნიშნავს. ამ გარემოებას კიდევ უფრო ამტკიცებს ის მდგომარეობა, რომ ქუთაისში, სასტუმრო „თბილისში" გახსნილია დახურული სასადილო მოსამსახურეებისათვის, რომელიც ყოველდღიურად მომარაგებულია ხორცით და ამზადებს საუკეთესო სადილებს. საინტერესოა გავიგოთ, ამხ. ღოღობერიძის აზრით, რომელი კატეგორიის მუშაკები სადილობენ ამ სასადილოში?

ქუთაისის საქალაქო პარტიულმა კომიტეტმა ამ მდგომარეობას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება და დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას ზემოაღნიშნული დეფექტები.

ქუთაისის საზოგადოებრივ კვების საქმეში დღემდე არაფერი გაუკეთებიათ ქუთაისის „საზკვებას" და პროფსაბჭოს სასადილოებში ხელფასის ახალი სისტემის გატარებისათვის სასადილოების თანამშრომლებს შორის არ არის გაშლილი შრომის სოციალისტური ფორმები: სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; საჭიროა ქუთაისის პარტიულმა, პროფესიონალურმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ შეუდგნენ საკ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას 19 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციას და პრაქტიკულად გაატარონ ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას საზოგადოებრივი კვება გადავაქციოთ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მნიშვნელოვან რგოლად.

რეიდის მონაწილენი: ლ. გაბრიაძე, კ. ჩიქოვანი, ედელაშვილი, ესიაშვილი, სანებლიძე, მეფარიშვილი, იოსელიანი, ყორყოლიანი, გურეშიძე, გრიგოლია, ხეფიაშვილი, ლექვინაძე და ლომიძე.

### თვითმდინარეობის ტალღებზე

**„კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა რეიდი სამტრედიაში**

3 აგვისტოს სამტრედიაში ჩატარებულ იქნა „კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა მასიური (რეიდი საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შესამოწმებლად. გამორკვეულ იქნა სამტრედიის ფაბრიკა-ქარხნების დახურული და კომერციული სასადილოები. რეიდმა გამოაშკარავა ის არა ნორმალური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს სამტრედიის სასადილოებში. ანტისანიტარია, უსუფთაობა, სივიწროვე, სურსათ-სანოვაგის შესანახად უვარგისი საწყობები, ინვენტარის და მოწყობილობის ნაკლებობა — ასეთია სამტრედიის სასადილოების საერთო სურათი.

**სამტრედიის „საზკვება" ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობას ეყრდნობა**

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის 21 აგვისტოს ნომერში, სამტრედიის „საზკვებას" დღემდე არ დაუმუშავებია და არაფერი გაუკეთებია ამ დადგენილების რეალიზაციისათვის. „საზკვებას" არავითარი ზომები არ მიუღია სასადილოებისათვის საჭირო კადრების მომზადებისათვის, სასადილოების ბინების გაფართოებისათვის და მუშათა სასადილოების მომარაგების გაუმჯობესებისათვის. სამტრედიის „საზკვების" მუშაობა დაყრდნობილია თვითმიმდინარეობაზე და „საზკვების" აპარატი მუშაკები არ გრძნობენ არავითარ პასუხისმგებლობას მათ წინაშე მდგომ ამოცანების ცხოვრებაში გატარებისათვის.

**ერთი ჩაის კოვზი 800 კაცს**

აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკაში მუშათა საზ. კვებას ყურადღება არ ექცევა; სასადილოში ცვლაზე უნდა ისადილოს 250 კაცმა, ფაქტიურად კი აქ შეუძლია ისადილოს 60 კაცმა, რადგან არ არის საკმარისი საჭირო ინვენტარი, და სასადილოს ბინაშია მოთავსებული ფერდო კლუბი და წითელი კუთხე რაც ქმნის აუტანელ პირობებს.

სასადილოს არ აქვს ჩაისათვის საჭირო შაქარი, რისთვისაც შაქარი მუშებს სახლიდან მოაქვთ. სასადილოში 300 მუშას მხოლოდ ერთი ჩაის კოვზი აქვს. არ ყოფნის სასადილოს ჭიქებიც. სასადილოს არ აქვს სურსათ-სანოვაგის საწყობი. სურსათი, სადაც ინახება, იქ რეცხავენ ჭურჭელსაც, რაც იწვევს სურსათ-სანოვაგის გაფუჭებას. არ აქვთ ხორცის შესანახავი საყინულე, რის გამო ხორცი ძალიან ხშირად ულპებათ, და დამპალ ხორცისაგან ამზადებენ სადილს. ამ გარემოებას სასადილოს ექიმი ყურადღებას არ აქცევს. აბრეშუმის ფაბრიკის სასადილოს ასეთი ცუდი მუშაობის შედეგია, რომ მუშები გარბიან ფაბრიკიდან; აგვისტოდან დღემდე ფაბრიკიდან წავიდა 150 კვალიფიციური მუშა; ქარხნის ყოფილი დირექტორი კალანდაძე ამას დამშვიდებით უყურებდა; როდესაც ფაბკომმა მიმართა მას სასადილოს გაფართოებისა და მუშათა კვების გაუმჯობესების შესახებ, კალანდაძე ასეთი პასუხით ისტუმრებდა: „საქმე ხომ არ შემოგელ,ეთ, რა ჰქონს სასადილოზე და მის გაფართოებაზე ფიქრია, როდესაც საწ.-ს გეგმები არ სრულდებაო"-ო. კალანდაძის ასეთი პასუხი აშკარა ოპორტუნისტულია, რასაც მაგრად უნდა დავარტყათ; რკინის გზის სასადილოში უსუფთაობაა გამეფებული და იატაკი დაფარულია ნაგავით. სასადილოს არა აქვს საჭირო საიზარეულო და საწყობი, რის გამო სურსათ-სანოვაგე მოუვლელად ყრია იატაკზე და იქვე რეცხავენ ჭურჭელსაც. სასადილოს თანამშრომლებს შორის ადგილი აქვს უპრინციპო კინკლაობას, მუშებისადმი ცუდ მოპყრობას და სხვ. მეფურნეელობის კომბინატის დახურული სასადილო უფრო ყაზარმას მოგვაგონებს, ვიდრე სასადილოს. სასადილოში ორი მაგიდა სდგას, ისიც ტალახიანი; სამზარეულოში კი ერთი კაცი მუშაობს. სასადილოში სადილობს 300-დე მუშა, რომლებიც სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ სადილების ცუდ ხარისხის გამო.

ქალაქის პირველ და მეორე სასადილოში მზადდება ძლიერ ცუდი ხარისხის სადილები, მაგიდები გაუსუფთავებელია და თანამშრომელთა სპეცტანსაცმელი ჭუჭყიანია, ზოგიერთებს კი სრულებით არ აცვიათ ასეთი. აღნიშნულ სასადილოებში თანამშრომელთა რიცხვი ძლიერ ბევრია, მაგრამ მათი წესიერად გამოყენება საქმისათვის არ ხდება.

**ქალთა შრომის გამოყენებას ყურადღება არ ექცევა**

ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივები ქალთა შრომის გამოყენების შესახებ სამტრედიის პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ყურადღების გარეშე; სასადილოების მომუშავეთა მხოლოდ 50 პროცენტს შეადგენენ ქალები. ადგილობრივი მომუშავეები ვერ აფასებენ ქალთა შრომას; მაგ.: სამტრედიის „საზკვების" სექციის თავმჯდომარემ სრულიად პროფკავშირს არ დართო ნება, რომ ქალაქის დახურულ სასადილოში გამგეთ ქალი დაენიშნა. თავმჯდომარის აზრით, თუ აღნიშნულ სასადილოში ქალები იმუშავებდნენ, მაშინ ვერ დამზადდებოდა კარგი ხარისხის სადილი, ქალთა შრომის ასეთ ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოთ.

სასადილოებში მოუწესრიგებელია ხელფასის ძველი სისტემის შეცვლის საქმე. მაგ.: რკინის გზის სასადილოს მზარეული თვეში იღებს 250 მან. კომბინატის სასადილოს მზარეული 75 მანეთს, აბრეშუმის ფაბრიკის მზარეული 110 მანეთს. ხელფასში ასეთ სხვაობას და საერთოდ ხელფასის ძველი სისტემის გარდაქმნის საკითხს ადგილობრივ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

რეიდის მონაწილენი: მხეიძე, მუქერია, კუპუნიძე, შენგელია, კრავეიშვილი, სტურუა, მაღლაკელიძე, ლუბა სტურუა, შალამბერიძე, დოლიძე, კირცხალია, ხუჟუა, და ჩიქოვანი.

# მზად შევხვდეთ ახალ სამოსწავლო წელს

## რაიონებს აკლია 370 მასწავლებელი. — სასკოლო შენობებს სოფლად სხვა დაწესებულებები იკავებენ. — „ახალმშენმა" არ შეასრულა თბილისის განათლების განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულება სასკოლო შენობების შეკეთების შესახებ

### უზრუნველვყოთ რაიონები მასწავლებელთა კადრებით

**ის, ვინც კულტურულ ფრონტიდან გარბის—შრომის დეზერტირია**

პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში ნორმალური მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბერს.

5—10 სექტემბრამდე ყველა რაიონებში უნდა ჩატარებულიყო მეთოდური კონფერენციები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ კონფერენციების ჩატარება არ მოხერხდა ადგილებზე მასწავლებლების გამოუცხადებლობის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელში რაიონები არ არის უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კადრებით. ჩვენ განვიცდით არა მარტო ახალ მასწავლებელთა კადრების ნაკლებობას, არამედ თვით ძველი, ადგილებზე მყოფი მასწავლებლებიც ანებებენ თავს რაიონებს და გამორბიან ქალაქად. ეს კი უმთავრესად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები არ ცდილობენ მასწავლებელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას: არ აძლევენ მათ ბინებს, მოუგვარებელია მასწავლებელთა მომარაგება, ხშირად ხელფასს ვერ იღებენ ორი-სამი თვის განმავლობაში და სწორედ აი, ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ **რაიონებს აკლია 370 მასწავლებელი.** აქედან გორის რაიონს—80, დუშეთის რაიონს—80, ერწო-თიანეთის რაიონს—35, გურჯაანის რაიონს—30, ხევის რაიონს—35, ცაგერის რაიონს—10, თელავის რაიონს—70 და კასპის რაიონს—40.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე ადგილებზე განკულაკებულთა სახლები გამოყენებული უნდა ყოფილიყო სკოლებად, მაგრამ მთელ რიგ რაიონებს ეს დადგენილება არ შეუსრულებიათ. ასეთ რაიონთა რიცხვშია მაგ. ხევის და ბორჩალოს რაიონები. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც სკოლების შენობებს იკავებს ადგილობრივი ორგანიზაციები და სკოლას კი უბინაოთ სტოვებს. ამ მხრით აღსანიშნავია ბორჩალოს რაიონის სოფ. კაჰაგონი, სადაც გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში დაბინავდა სოფლის საბჭო. ამას არც სადახლო ჩამორჩა და მათ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში მოათავსეს საექიმო პუნქტი, სკოლა კი ქუჩაში დასტოვეს.

სასკოლო მშენებლობა ადგილებზე მშრომელი გლეხობის დახმარებით გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ აქაც საშენი მასალით მომმარაგებელ ორგანიზაციების დაუდევრობით ფერხდება სასკოლო მშენებლობა, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

მასწავლებელი, რომელიც კულტურულ ფრონტზე მოღვაწეობას თავს ანებებს სწორედ იმ პერიოდში, როდესაც უკვე სწავლა იწყება ის შრომის დეზერტირია. ამას კიდევ ხელს უწყობს ამ დარგში განათლების კავშირის სუსტი მუშაობაც.

საჭიროა მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნას იქითკენ, რომ რაიონები უზრუნველვყოთ მასწავლებელთა კადრებით, რათა ამან ხელი არ შეუშალოს სამოსწავლო წლის თავის დროზე დაწყებას და სკოლებში ნორმალურ მეცადინეობას.

### სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილია

**ოთხწლედები და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები**

**მეცადინეობის ნორმალურად დაწყებას ჩაშლის საფრთხე ემუქრება საფაბრიკო - საქარხნო სკოლებს, კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლებს და განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს და ტექნიკუმებს**

1931 სასწავლო წლის გეგმის მიხედვით საჭიროა 12 სახელმძღვანელოს დაბეჭდვა 1-ლი საფეხურის სკოლებისათვის.

ამჟამად გამოსულია 11 სახელმძღვანელო, რომლებიც დაიბეჭდა სრული ტირაჟით, მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო არ დაბეჭდილა სრული ტირაჟით (ეს სახელმძღვანელოც ამ ჟამად იბეჭდება სრული ტირაჟით).

დაუბეჭდავი სახელმძღვანელოები საჭიროა მხოლოდ წლის მეორე ნახევრისათვის. 5 სახელმძღვანელო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის უკვე დაბეჭდილია. ამათგან 4 სახელმძღვანელო გამოვიდა სრული ტირაჟით, ერთი სახელმძღვანელო, რომელიც 50.000 ცალი უნდა დაბეჭდილიყო, დაიბეჭდა 10.000 ცალი. ეხლა ეს სახელმძღვანელო სასწრაფოდ იბეჭდება დამატებით.

ამრიგად, სწავლების დაწყებისათვის ოთხწლედები და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით.

საფაბრიკო - საქარხნო სკოლების და კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლების სახელმძღვანელოთა ბეჭდვა „სახელგამმა" ნაწილობრივ დააგვიანა. გეგმით საჭიროა 27 სახელწოდების სახელმძღვანელო 350.000 ტირაჟით. უკვე გამოსულია სრული ტირაჟით 21 სახელწოდების სახელმძღვანელო, რაც 200.000 ცალს შეადგენს.

დანარჩენი 6 სახელწოდების სახელმძღვანელო იბეჭდება. საფაბრიკო - საქარხნო სკოლებსა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლებში მეცადინეობის ნორმალური დაწყების უზრუნველსაყოფად სახელგამმა უნდა დააჩქაროს პროგრამის შესრულების ტემპები. ამისათვის მან დასაბეჭდად არ უნდა გადასცეს არც ერთი სხვა წიგნი, სანამ სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა არ იქნება შესრულებული.

ტექნიკუმებისათვის სახელმძღვანელოების დაბეჭდვის საქმე ძალზე ცუდათ არის. ტექნიკუმებისათვის 56 სახელმძღვანელოს გამოცემის ვადათ თვით განსახკომის მიერ განსაზღვრულია 15 ოქტომბერი. ამ დაგვიანებას განათლების სახ. კომისარიატი „ხსნის" იმით, რომ „პირველ რიგში დასაბეჭდათ დამზადდა სახელმძღვანელოები მასიური სკოლებისათვის".

სახელგამის მიზეზით სახელმძღვანელოების მომზადება ტექნიკუმებისათვის ნელი ტემპით სწარმოებდა, რის გამო სახელგამმა ვერ შეასრულა დავალება—დაემზადებია მასის დამლევისათვის დასაბეჭდად 35 სახელწოდების სახელმძღვანელო.

ამჟამად გამოსულია 23 სახელწოდების სახელმძღვანელო, 21 იბეჭდება, 12 სახელწოდების სახელმძღვანელო დამზადების პროცესშია.

ტექნიკუმების ნორმალურ მუშაობას დიდი საფრთხე ემუქრება.

სახელმძღვანელოების დიდ უმრავლესობას ნაციონალური უმცირესობათა სკოლებისათვის სახელგამი იწერს.

6 სახელწოდების სახელმძღვანელო თურქული სკოლებისათვის და 4 სახელმძღვანელო სომხური სკოლებისათვის უკვე მიღებულია.

დანარჩენი სახელმძღვანელოები (50 სახელწოდების) ჯერ კიდევ არ არის მიღებული. 10-დე სახელწოდების სახელმძღვანელო გზაშია. ბევრი სახელმძღვანელო კიდევ იბეჭდება ბაქოში, ერევანში და რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში. ამ სახელმძღვანელოების შესახებ დადებული ხელშეკრულებანი წესიერად არ სრულდება.

მეცადინეობის ნორმალურ დაწყებას ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ჩაშლის საფრთხე მოელის (ადს).

### სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის ადგილები მზად არ არიან

განათლების მუშაკთა რესპუბლიკანურ კონფერენციაზე, განათლების კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. გ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი სკოლები არ არიან მზად სამოსწავლო წლის დასაწყებათ.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების კომისარიატმა წელს ადრე დაიწყო მზადება ახალი სამოსწავლო წლისათვის, სწავლის დაწყება მაინც გრძელდება. განათლების კომისარიატმა უკვე შეიმუშავა პროგრამები, გამოსცა სახელმძღვანელოები და ამ მხრივ სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის ადგილები უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ თავი იჩინა მეორე მოვლენამ. ადგილები ვერ ზოულობენ მასწავლებლებს და ამის მიზეზით სკოლებში მეცადინეობა ვერ იწყება.

მთელი რიგი რაიონებიდან მასწავლებლობა მოიხსნა და ზოგმა სწავლა და ზოგმაც უფრო დიდ ქალაქებში მუშაობა მოინდომა. მასწავლ. ადგილი აქვს სამუშაოს გამოცვლის ტენდენციას, ბევრი მასწავლებელი დაუკითხავათ სტოვებს თავის სკოლას და სხვაგან მიდის. არც სოცშეჯიბრება, არც ერთ-სკოლაზე მიმაგრება და არც სოციალისტური შრომის დანარჩენი მეთოდები, მასწავლებლებისათვის ცნობილი არაა.

ადგილებზე უკვე მიღებული სასწავლო გეგმები და პროგრამები დღემდე დაუმუშავებელია, რადგან მასწავლებლები არ არიან დანიშნულების ადგილზე.

წინასწარი ანგარიშით გამორკვეულია, რომ მარტო ქუთაისში ამჟამად იმყოფება რაიონებიდან ჩამოსული 300-მდე მასწავლებელი, რომლებიც სამსახურის ძებნაში არიან გართული. ასეთივე მდგომარეობა ბათომში და რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში. თბილისშიაც დიდძალი მასწავლებლებია სოფლებიდან ჩამოსული. ყველა ეს მასწავლებლები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დაბრუნებული დანიშნულებისამებრ. ამასთანავე კონფერენციაზე სასურველად იქნა აღიარებული, რომ მასწავლებლების გაიგზავნონ ცხრა და ათწლედ დამთავრებულნი, თუ მათ გაიარეს პედაგოგიური განხრა.

### „ახალმშენი" აფერხებს სასწავლო წლის დაწყებას

**რამდენიმე სკოლაში ურემონტოდ მეცადინეობის დაწყება შეუძლებელია**

ჯერ კიდევ 1930-31 სამოსწავლო წლის დასასრულს თბილისის განათლების განყოფილებამ ახალმშენთან დასდო ხელშეკრულება თბილისის სკოლების შეკეთების შესახებ, რომელთაგან კაპიტალური რემონტი სჭირდება 85 სკოლას. დღემდე ახალმშენს არც ერთი სასკოლო შენობა არ შეუკეთებია საბოლოოდ.

ამჟამად სწარმოებს სულ 45 სკოლის რემონტი.

ახალმშენი „დაპირებას" იძლევა, რომ ამ სკოლების რემონტს დაამთავრებს სასწავლო წლის დაწყებისას. მაგრამ ეს დაპირება არ შესრულდება.

**დანარჩენ 40 სკოლა, რომელთაც კაპიტალური რემონტი სჭირდება, სრულიად შეუკეთებელი დარჩება.**

თუ ზოგიერთ სკოლაში კიდევ შეიძლება გაჭირვებით სწავლის დაწყება ურემონტოთ, 87, 19, 7, 98, 88 და კიდევ რამდენიმე სკოლაში მეცადინეობის დაწყება შეუძლებელია: ისინი დაიხურება რემონტის დამთავრებამდე. (ადს).

# მოსავალი და შემოსავალი კოლმეურნეობებში

## უნდა განაწილდეს დახარჯული შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით

## გურჯაანის, ლაგოდეხის და ყარაიას რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში მოსავალს და შემოსავალს ანაწილებენ სულადობის მიხედვით

### აღვკვეთოთ გათანაბრების პრაქტიკა

„კოლმეურნეობებში შემოსავლისა და მოსავლის სწორ განაწილებას — ნათქვამია საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილებაში — დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და კოლმეურნის შრომის წვლილის ჩაწერის შრომა-დღეების რაოდენობის თანახმად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა საწარმოო განმტკიცებისათვის, თითეული კოლმეურნის დაინტერესებისათვის მუშაობაში, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების აწევისა და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდისათვის".

საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ გამომუშავებულია 1931 წელს კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის განაწილების წესი. საჭირო იყო მასიურ - პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა იმისათვის, რომ 15 აგვისტომდე არ დარჩენილიყო არც ერთი კოლმეურნეობა, რომელიც დეტალურად არ იქნებოდა გარკვეული მოსავლის და შემოსავლის განაწილების წესში; საჭირო იყო ყველა იმ დამახინჯებების აღხსნა, რომელსაც მოსავლის განაწილებაში ადგილი ჰქონდა გასულ წელს და ყველა ზომების მიღება იმისათვის, რომ ეს დამახინჯებები წელს არავითარ შემთხვევაში არ განმეორებულიყო.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის და შემოსავლის წესების კოლმეურნეთა მასებისათვის გაცნობის კამპანია სუსტად გაიშალა; კოლმეურნეები ბევრგან არ იცნობენ მოსავლის განაწილების წესებს და ადგილი აქვს მთელ რიგ გაუგებრობებს და დამახინჯებებს ამ საქმეში.

თავდაპირველად აღსანიშნავია სუსტი ბრძოლა „გათანაბრების" კულაკური პრაქტიკის წინააღმდეგ. ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებში (სოფ. ბაისუბანი, გიორგეთი, აფენი) არის მოსავლის სულადობის მიხედვით განაწილების ტენდენცია. გურჯაანის რაიონში (სოფ. ურიათუბანი) ფულადი და ნატურით ავანსები ერთნაირი რაოდენობით ეძლევა ბეჯითს და შრომის დეზერტირებს; ამავე სოფლის კოლმეურნეობამ პურის **მოსავალი ისე გაანაწილა თავის წევრებს შორის, რომ არ გადაურიცხავს არც სათესლე, არც დამზღვევი და არც სპეციალური სასურსათო ფონდები.**

დამახინჯებებს მოსავლის განაწილებაში ვხვდებით ტექნიკური კულტურების რაიონებშიაც. ასე მაგ., ყარაიას რაიონის კოლმეურნეობა „აიდინ"-ის თავმჯდომარე მამედოვმა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი „თანასწორად" გაუნაწილა ყველა კოლმეურნეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი შრომა-დღე ჰქონდა გამომუშავებული კოლმეურნეს. ამავე მამედოვის განკარგულებით ქალების შრომის ანაზღაურება ხდება არა გამომუშავებული შრომის რაოდენობის, არამედ ქალებისათვის (!) შინაურად დაწესებულ „ნორმის" მიხედვით.

ყველა ამ დამახინჯებებს გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილების საქმეს კონკრეტული და სისტემატიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, რომლებიც კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების წესების დარღვევით და მტაცებლური განწყობილების გამეფებით ცდილობენ საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხებას და მისთვის ძირის გამოთხრას.

ჩვენ ფართოდ უნდა განვუმარტოთ კოლმეურნეებს, რომ მოსავლის და შემოსავლის **სულადობის მიხედვით განაწილება არის კულაკური მოთხოვნილება,** რომ მოსავლის სწორად განაწილება შეიძლება **მხოლოდ** კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეების და ყოველგვარი ავანსების ზუსტი აღრიცხვით, რომ აუცილებელია ხელმძღვანელ მიერ დაწესებულ ფონდების **აუცილებლად** გადარიცხვა და ყოველგვარი მოსავალი და შემოსავალი კოლმეურნეობაში უნდა განაწილდეს **მხოლოდ** კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ და მათ შრომის წიგნაკებში ჩაწერილ შრომა-დღეების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებას უნდა მიექცეს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება. მხოლოდ მოსავლის სწორად განაწილებით შევძლებთ კოლმეურნეობათა შემდგომ ზრდა - განმტკიცებას და სახ-სამ. პროდუქტების დამზადების დავალებათა მთლიანად შესრულებას.

### დამახინჯებანი მოსავლის განაწილებაში უნდა აღიკვეთოს

მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს კოლმეურნეობებში შემოსავლის უწესოთ განაწილების ფაქტებს. მაგ. გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათ-უბნის ერთ კოლექტივში ერთი და იგივე რაოდენობის პური დაურიგეს, როგორც 18 შრომა-დღის, ისე 150 შრომა-დღის მქონე კოლმეურნეს. ამ კოლექტივმა თავის წევრებზე განაწილა 1.800 ფუთი პური ისე, რომ სათესლე სადაზღვეო, სპეციალურ, სასურსათო და სხ. ფონდებში გადარიცხვა არ უწარმოებია.

აღსანიშნავია, რომ ამავე სოფლის კოლმეურნეობებში ძველი კოლმეურნეები წინააღმდეგი არიან, რომ ახალმა წევრებმაც გაიყოფიანონ თავიანთი საშემოდგომო ნათესები და შემდეგ მოსავლის განაწილების დროს ისეთივე წვლილი მიიღონ, გამომუშავებული შრომა-დღეების მიხედვით, როგორც ძველმა კოლმეურნეებმა.

რაიკოლმეურნკავშირი არ უწევს ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი შემოსავლის განაწილების საქმეში ყარაიაზის რაიონში. აქ არტელ „აიდინ"-ში არტელის თავმჯდომარემ პარტიის წევრმა — ჰასან მამედოვმა კოლმეურნეობის ფული გაანაწილა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწია კოლმეურნეთა მიერ დახარჯულ შრომას და მიღებულ ავანსებს. ყველა მამაკაც კოლმეურნეს მისცა 131 მანეთი, ხოლო ქალებს მხოლოდ თითო მანეთი არგუნა. გარდა ამისა, მის მიერ გაიცა თავისავე ძმაზე 131 მანეთი, რომელიც კურსებზე სწავლობს, და მუშაობაში მონაწილეობას ვერ იღებს.

ზოგ კოლმეურნეობებში მოითხოვენ, რომ შემოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით სწარმოებდეს. მაგ. ლაგოდეხის რაიონის სოფ. ყარსუბნის სას. სამეურნეო მოწვეულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და პარტ. ამხანაგების თათბირზე შემოსავლის განაწილების წესის დამუშავების დროს მოითხოვეს, რომ გაუქმებულიყო კოლმეურნის ნამუშევრის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით შემოსავლის განაწილება და დაწესებული ყოფილიყო სულადობის მიხედვით.

ამრიგათ კოლმეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი სარაიონო ორგანიზაციების მიერ უშუალო ხელმძღვანელობით შემოსავლის განაწილების საქმეში, ხშირად ივიწყებენ, რომ „შემოსავლის კარგათ განაწილება შეუძლებელია ისე, თუ ზუსტად არ იქნა აღრიცხული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა და მათ მიერ ფულად და ნატურით მიღებული ყველა ავანსები".

ინსტრუქტორი.

### უზრუნველვყოთ მოსავლის სწორად განაწილება

მოსავლის აღებისა და მისი განაწილების ორგანიზაცია ამბროლაურის რაიკოლმეურნეობათა კავშირის ყურადღების ცენტრში დგას.

რაიკოლმეურნეობათა კავშირმა მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილებათა საფუძველზე კოლმეურნეობებში მუშაობა ფართოდ გაშალა: მოეწყო მისი ფართე პოპულარიზაცია და ადგილები უზრუნველყოფილი იქნა ცოცხალი ინსტრუქტაჟით. ამის შედეგად მიღწეულია მოსავლის აღება-განაწილების წესის დაყვანა თვითეულ კოლმეურნეობამდე.

მოსავლის და შემოსავლის განაწილებას მჭიდროთ დაუკავშირდა შრომის აღრიცხვის დაკვეთითი წესით მოწესრიგება, რაც გამოიხატება იმაში, რომ კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა-დღეები მთლიანად გადატანილია შრომის წიგნაკებში.

ამასთან ერთად მოსავლის აღება და მისი განაწილება ტარდება ქალთა და მოზარდთა შრომის მაქსიმალური გამოყენებით, რამაც შესაძლებელი გახადა მუშა-ხელის გარესამუშაოზე ვასვლის წესიერი ორგანიზაცია.

დღემდე კოლმეურნეობათა რაიკავშირის საშუალებით დამზადებულია—4.000 ფ. თივა, რაც შეადგენს გეგმის 35 პროც. ანეულის სამუშაოებზე გამოყენებულია ტრაქტორები, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში გამგეობები სუსტ კონტროლს უწევენ მოსავლის დროზე აღებას (სოფ. ლვიარა-ბოსტანა, ხოცევი). ასევე სუსტია კოლმეურნე მასების, კომკავშირის და „მს. კავალერიის" მეთვალყურეობა მოსავლის აღებაზე; არ არის გაშლილი ბრძოლა წამგლეჯელების, მოსავლის გაფუჭების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ბევრ კოლმეურნეობებში (ხოცევი, ყრუაშვილების უბანი და სხვ.).

ფაქტები, რომელიც არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე, მდგომარეობს იმაში, რომ ალაგ-ალაგ ადგილი აქვს მოსავლის განაწილებას „საჭიროების და მიხედვით" (ხოცევი) და ზოგგან კი მოითხოვენ მოსავლის სულადობის მიხედვით განაწილებას (ბუგეულის კოლმეურნეობა).

საჭიროა სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიოს „გათანაბრების" პრაქტიკას, ძირშივე იქნას აღკვეთილი ასეთი კულაკური ტენდენციები.

ნოე შარაბიძე.

### „რა საჭიროა სანარდო სისტემა"

**(საჯევახო, სამტრედიის რაიონი)**

სოფ. პირველ ნიგორზღვაში არსებობს კოლმეურნეობა „წინსვლა", რომელშიდაც გაერთიანებულია 122 კომლი.

აღნიშნულმა კოლმეურნეობამ გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობის გამო მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის გეგმა დიდი დანაკლისით შეასრულა.

[illegible] და ყურადღებოთ და [illegible] მუშაობს ნათესი. სანარდო სისტემა ჯერ კიდევ არ არის გატარებული. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თარგამაძე ასე აცხადებს:—„რა საჭიროა სანარდო სისტემა, როდესაც ყველა მუშაობსო". ის წინააღმდეგია კოლმეურნეობაში ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენების.

კოლმეურნეობის ასეთ „თავმჯდომარეს" სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ბრიგადირი.

# ბოლშევიკურად გარდავქმნათ საზოგადოებრივი კვება

სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე საზოგადოებრივი კვების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საზოგადოებრივი კვების განვითარება და გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.

დიდია ის როლი, რომელიც ეკისრება საზოგადოებრივ კვებას შრომის ნაყოფიერების გადიდების, ქალის მძიმე საოჯახო საქმისაგან განთავისუფლების და ჩვენი ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე მოწყობის საქმეში.

გარდა ამისა, საზოგადოებრივ კვებას დიდი უპირატესობა აქვს ინდივიდუალურ კვებასთან შედარებით, რადგან მხოლოდ საზოგადოებრივი კვების პირობებშია შესაძლებელი კვების რაციონალურად მოწყობა, მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ამ საქმეში მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გამოყენება, პროდუქტების რაციონალურად მოხმარება, ნარჩენ-გადანაყარის უტილიზაცია და სხვა.

პარტიამ დროზე მიაქცია ყურადღება საზოგადოებრივი კვების საკითხს და გამოიტანა ამ მიმართულებით საჭირო დადგენილება, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს საზოგადოებრივი კვების განვითარების გზებს და მშენებლობის ტემპებს.

ჯერ კიდევ ს. კ. პ. (ბ) ცეკას დეკემბრის პლენუმმა დასვა საკითხი სასურსათო მომარაგების ინდივიდუალური ფორმების საზოგადოებრივი კვებით შეცვლის შესახებ. შემდეგ ნაბიჯს ამ მიმართულებით საკ. კ. პ. (ბ) ცეკას, სახკომსაბჭოს და „ცენტროსოიუზი"-ს 12 მაისის მიმართვა წარმოადგენდა, რომელშიც ხაზგასმული იყო საზოგადოებრივი კვების ავტონომიური სექციის დაარსების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის და ხელისუფლების ამ დადგენილებათა გამოქვეყნების მომენტიდან საკმაო დროც გავიდა, საჭირო გარდატეხა საზოგადოებრივი კვების საქმეში კიდევ არ მომხდარა.

ამის გამო არის, რომ ს. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი, 19 აგვისტოს ისტორიული დადგენილება: საზოგადოებრივ კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ადასტურებს, რომ „საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მასების გადიდებულ მოთხოვნილებებს და მას თან ახლავს მთელი რიგი ისეთი აღმაშფოთებელი ნაკლოვანებანი, რომელთაც უდიდესი ზიანი მოაქვთ მუშათა კვებისა და მომარაგების გაუმჯობესების საქმისათვის". პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ეს ადგილი სავსებით გამოხატავს საზოგადოებრივ კვების მდგომარეობას საქართველოშიაც, მიუხედავად პარტიისა და ხელისუფლების ზემოაღნიშნული დადგენილებისა საზოგადოებრივ კვების ცალკე ავტონომიურ სექციად გამოყოფის შესახებ. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას არ მიუღია საჭირო ზომები ამ სექციის მუშაობის ნამდვილი გარდაქმნისათვის, მან მხოლოდ სტრუქტურული ხასიათის ცვლილებები შეიტანა აპარატში, ფორმალურად გამოჰყო საზ. კვება ცალკე ავტონომიურ სექციად და ამით დაკმაყოფილდა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ ვერ უზრუნველყო საზკვების ავტონომიურ სექციის იურიდიული და სამეურნეო ჩამოყალიბების საქმე, დროზე ვერ გამონახა სათანადო გამგობა და სექციის აპარატი ვერ განამტკიცა კვალიფიციური მუშაკებით. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას არ მიუღია ზომები ავტონომიურ სექციის ნივთიერ ფინანსიური ბაზის განსამტკიცებლად, დახმარება არ გაუწევია მისთვის დეცენტრალიზებული ფონდების ანგარიშში სახოფლო მეურნეობის პროდუქტების გამოყოფის და შინაგანი რესურსების მობილიზაციის საქმეში.

ასეთ დამოკიდებულებამ საზოგადოებრივი კვების რეორგანიზაციისადმი და თვით ამ სექციის მოუქნელობამ საზკვების განვითარების 1931 წლის გეგმის განხორციელების რეალური საფრთხე შეუქმნა. ფაბრიკა-სამზარეულოს და მექანიზებული სასადილოების მშენებლობის ჩაშლა, სასურსათო ფონდების შეკვეცა, მოწყობილობის და ინვენტარის უქონლობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, მზარეულთა მეტად დაბალი ხელფასი, აი ის პირობები, რომლებშიაც მუშაობა უხდება საზკვების ავტონომიურ სექციას.

არ გაუმჯობესებულა საზკვების ხარისხობრივი მაჩვენებლები; აქაც ხშირია ცუდი ხარისხის პროდუქცია და მომხმარებლისადმი უხეში მომსახურება; საზოგადოებრივი კვების საწარმოები ჯერ კიდევ არ გადასულან სამეურნეო ანგარიშზე. შემოღებული კადრების, მუშათა ოჯახის წევრების ჩაბმის სისტემა, არ არის მოვალეობრივი მეწილე და სასადილოებში გამეფებულია ყოვლად დაუშვებელი ანტი-სანიტარული მდგომარეობა. ეს ნაკლოვანებანი კი აბრკოლებენ საწარმოო-სათინანსო გეგმის შესრულებას, აფერხებენ ბრძოლას სამუშაო ძალის ცვალებადობის წინააღმდეგ, ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას. აძლევენ მუშათა ახალი კადრების, მუშათა ოჯახისწევრების ჩაბმას მრეწველობაში.

ეს კი იმას მოწმობს, რომ არა თუ სამომხმარებლო კოოპერაციას, არამედ დანარჩენ საბჭოთა, პროფესიონალურ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებსაც არ მიუღიათ სათანადო ზომები საზოგადოებრივ კვების წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად. ასეთ მდგომარეობას ეხლავე უნდა მოეღოს ბოლო. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 19 აგვისტოს გადაწყვეტილების შემდეგ მაინც, ყველა პარტიულ, პროფესიონალურ სამეურნეო და ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ საზოგადოებრივი კვების ისეთ დონემდე ამაღლებისათვის, რომელიც ნამდვილად მისცემს მუშათა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა ფართო მასებს შესაძლებლობას: სავსებით გამოიყენონ საზოგადოებრივი კვება.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ და სავსებით განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ეს დავალება?

1. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საზკვების სასადილოებში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა მიღებულ იქნეს კანონი, რომელიც კატეგორიულად განსაზღვრავს და უფლებრივად ჩამოაყალიბებს საზკვების საწარმოებში სანიტარულ-ჰიგიენურ ზედამხედველობის წესებს და გაითვალისწინებს ამ წესების დამრღვევთა სასტიკ პასუხისმგებლობას.

სასადილოებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების უგეგმო და შემთხვევითი ხასიათის შემოწმებას საქ. ჯანსახკომის ორგანოების მიერ ბოლო უნდა მოეღოს. ჯანსახკომის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ მტკიცე გეგმა სასადილოების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გამოკვლევისა და გააძლიერონ კონტროლი საზკვების პროდუქციის ღირსებაზე. ამ მიზნით მათ ყველგან უნდა უზრუნველყონ პროდუქტების ანალიზის წარმოება და სისტემატიურად შეამოწმონ საზკვების მუშაკთა ჯანმრთელობა.

„საქკოოპკვება"-მ კი საჭიროა გაითვალისწინოს ლაბორატორიების დაარსების აუცილებლობა ფაბრიკა-სამზარეულოებთან და მექანიზირებულ სასადილოებთან, ხოლო თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულმა სანიტარულ-ჰიგიენურმა ლაბორატორიამ თავის გამოკვლევის სფეროში უნდა მოაქციოს, არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს ყველა სამრეწველო რაიონების საზკვების ქსელი.

„საქკოოპკვებამ" პროფკავშირთან ერთად უნდა მიიღოს ზომები სანიტარულ-ჰიგიენურ განათლების გასავრცელებლად საზკვების მუშაკთა შორის.

2. მომხმარებელთათვის კარგი ღირსების პროდუქტების მოწოდების და ამ საქმისათვის კონტროლის გასაწევად ყველა საწარმოში მიღებული უნდა იქნეს ნედლეულის ნახევარ ფაბრიკატის და მზა-ნაწარმის სავალდებულო დაწუნება. ამისათვის საჭიროა დაარსებულ იქნას წუნმდებელის თანამდებობა ისეთ საწარმოში, რომელიც ამზადებს 5.000 და მეტ კერძს დღეში, ხოლო დანარჩენ საწარმოებში კი წუნმდებელის მოვალეობა უნდა დაეკისროს სამზარეულოს გამგეს. ამ საქმის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინსპექტურასთან ერთად წუნისდადებაში ჩაბმულ იქნას მომხმარებელთა ფართო ფენები.

რაც შეეხება საწარმოთა მომარაგებას კარგი ღირსების პროდუქტებით იგი ყველგან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა სწარმოებდეს. საზკვების სექციებმა წესად უნდა შემოიღონ აცნობონ მ. გ. ინსპექციას და პროკურატურას ცუდი ღირსების პროდუქტების მოწოდების თითეული შემთხვევის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადილებისა და კერძების გამრავალფეროვნებას სხვადასხვა საპროდუქტო განისლების საფუძველზე და შემოღებული უნდა იქნას დიფერენციალური ფასები.

3. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი თუ მოწესრიგდება სამუშაო ხელფასის, შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის საკითხები საზკვების საწარმოებში. ამ საკითხებს კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს როგორც საზკვების, ისე პროფკავშირულ ორგანიზაციებმა, მაგრამ იგი დღესაც მოგვარებული არ არის. საზკვების პროფკავშირმა და „საქკოოპკვებას" მოვალეობა არის დაუყოვნებლივ გადაიყვანონ საზკვების მუშაკები პროგრესიულ სანარდო სისტემაზე.

4. ყველასათვის ნათელია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც მოქცეულია საქართველოს საზკვების არსებული ქსელი. მას მემკვიდრეობათ გადაეცა მხოლოდ სამიკიტნოებისა და მდარე ღირსების რესტორანები, ვიწრო, ბნელი და ნესტიანი სარდაფები. მიუხედავად ნაწილობრივი წარმატებისა ამ მიმართულებით, საჭირო შენობების მხრივ მეტად ცუდი მდგომარეობა დღესაც. ძველ შენობებში მოთავსებული სასადილოები თავისთავად ცხადია ვერ დაიცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ და კულტურულ მოთხოვნილებებს; ეს განსაკუთრებით შეეხება ქალაქის განაპირა უბნებს, სადაც მოსახლეობის მეტ ნაწილს მუშები შეადგენენ. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად საჭიროა „საქკოოპკვებამ" დაუყოვნებლივ შეუდგეს არსებულ ქსელის გადასინჯვას, მათ შეკეთებას და შეგუებას საზკვების მოთხოვნილებასთან. ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთუ ს. მ. უ. ს. და შრომის სახკომი თანახმად ცეკას დადგენილებისა რეალურ დახმარებას აღმოუჩენს „საქკოოპკვებას", სათანადო სააღმშენებლო მასალის და სამუშაო ძალის მოწოდების საქმეში. სათანადო ორგანოების მიერ არა ერთხელ იყო დადგენილი, რომ საწარმოთა ადმინისტრაციას გამოეყო შესაფერი შენობები სასადილოებისა და ბუფეტებისათვის. მაგრამ ეს დადგენილება დღემდე არსად არ გატარებულა. ეხლა მაინც ავტონომიურმა სექციებმა საწარმოთა დირექციას უნდა მოსთხოვონ ამ დადგენილების შესრულება.

5. სასადილოების საჭირო პროდუქტებით მომარაგება ქაოტიურ მდგომარეობაშია. დადგენილების საზკვების უზრუნველყოფის შესახებ სპეციალური ფონდებით მხოლოდ ფორმალურად ტარდება. ფაქტიურად გამოყოფილი ფონდები სრულებით არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. მაგალითად: მიმდინარე წლის მესამე კვარტალისათვის გამოყოფილი საპროდუქტო ფონდების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, მეორე კვარტალის ფონდებზე, მაშინ, როდესაც საზკვების მომხმარებელთა კონტინგენტი ამჟამად გაცილებით მეტია ვიდრე მეორე კვარტალში. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცენტრალიზებული ფონდები. დეცენტრალიზებულ ფონდებზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, არ ახორციელებს ნაკისრ ვალდებულებას საზკვებისათვის სურსათ-სანოვაგის მოწოდების შესახებ დეცენტრალიზებულ ფონდების ანგარიშში. არც მომარაგების სახკომის ორგანოები მიიღებენ საჭირო ზომებს ამ მიმართულებით. უგეგმობა და უსისტემობა მომარაგების დარგში აფერხებს საზკვების საწარმოთა გადაყვანას სამეურნეო ანგარიშზე და შეუძლებელს ხდის საპროდუქტო განაწილების გეგმის შედგენას, რაც სათანადო გავლენას ახდენს პროდუქციის ღირსებაზე. დროა სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მიიღონ ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

6. ახალ ფაბრიკა-სამზარეულოთა და მექანიზირებულ სასადილოების მშენებლობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ადგილი აქვს ზოგიერთი ორგანიზაციის ყოვლად დაუშვებელ გულგრილობას, უმოქმედობას, ბიუროკრატიულ-ოპორტუნისტულ და ზარმაცურ მავნებლურ დამოკიდებულებას ამ საქმისადმი.

ქიათურის ფაბრიკა სამზარეულოს მშენებლობა, რომელიც კარგა ხანია მოთავებული უნდა ყოფილიყო, ჯერაც არ დაწყებულა, რადგან ცეკავშირის მიერ მოცემული ეკონომიური გამოკვლევა, ფაბრიკა-სამზარეულოს ხიდიდის და მისი სატრანსპორტო საშუალებათა გაუთვალისწინებლობის გამო შემცდარი აღმოჩნდა. ქიათურის ფაბრიკა-სამზარეულოს მშენებლობა სათანადო სახსრების ვერ უზრუნველყო შავ-ქვის მრეწველობის ტრესტმა.

200.000 მანეთის ნაცვლად ტრესტმა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში მხოლოდ 50.000 მანეთით განსაზღვრა. მშენებლობის დაწყებას აფერხებს ისიც, რომ ფაბრიკა-სამზარეულოს ასაგებად გამონახული ნაკვეთი დღესაც გასუფთავებული არ არის ხსვადასხვა შენობებისაგან.

ტყიბულისა და ტყვარჩელის ფაბრიკა-სამზარეულოს და მექანიზაციაქმნილი სასადილოს აგების საქმე დღევანდლამდე მოლაპარაკებათა და ხსვადასხვა ორგანიზაციებს შორის უსაფუძვლო ვაჭრობის საგანს შეადგენს. უკანასკნელად კი, საკავშირო კომკვებას სავსებით ამოუშლია თავის მშენებლობის გეგმიდან ტყვარჩელის ფაბრიკა-სამზარეულოს საკითხი და იგი სივრცისა და დროის გარეშე დატოვებია.

თბილისის ფაბრიკა-სამზარეულოს მშენებლობის საქმე სრულებით მოუწესრიგებელია. მთელი რიგი სამუშაოთა ჩატარების შემდეგ, რომლებმაც 800 ათასი მანეთი შეიწირა უნდა დაწყებულიყო საჭირო მუშაობა მის ასაგებად, მაგრამ ეხლა ისევ დაისვა საკითხი ფაბრიკა-სამზარეულოსთვის მიწის ნაკვეთის გამონახვის შესახებ, რადგან მისთვის მიჩენილი ნაკვეთი „ინტურისტ"-ს დაეთმო სასტუმროს ასაგებად. საჭიროა მ. გ. ინსპექციის სახ. კომისარიატმა დაიჩქაროს ამ საქმის განხილვა და გამოარკვიოს ამ საქმის გაჭიანურების მიზეზები.

7. მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარი ცეკავშირის კურსებზე გატარდა სულ 450 კაცი. მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალის გეგმით გათვალისწინებულია 1.850 მუშაკის მომზადება. ასეთია ჯერ-ჯერობით ფაქტიური მდგომარეობა კადრების მომზადების დარგში. კადრების საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა: თბილისში არსებული საზკვების ტექნიკუმი უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო შენობით და მომზადებული პედაგოგიური პერსონალით და ფართოდ იქნეს გამოყენებული მასიური პროფესიის (მზარეულთა, სასადილოს გამგეთა, დამწონველთა) გადასამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჭირო კადრების შექმნას ქალებისაგან და ამ უკანასკნელთა ჩაბმას საზოგადოებრივ კვების საწარმოებში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის 19 აგვისტოს დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა: ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ თვითეულ ღონისძიების გარშემო დავრაზმოთ მშრომელთა ფართო ფენები.

დ. გოგორიშვილი.

# სოფლის საბჭოები უნდა გადაიქცნენ

## სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ორგანიზატორებად და ბოლშევიკურ ცენტრებად

### საბჭომ „დაივიწყა“ ღარიბთა შორის მუშაობა

(აჭარისტანი, ხულოს რაიონი)

დიდ-აჭარის სოფლის საბჭო შედის ხულოს რაიონის ფარგლებში. ხსენებული სოფლის საბჭო ძლიერ ცუდად მუშაობს, ვინაიდან მას არავინ უწევს ხელმძღვანელობას და საბჭომაც არ იცის, თუ რა უნდა აკეთოს.

სოფლის საბჭოსთან არსებული სექციების (განათლების, სანიტარული, კოოპერატული, საამშენებლო) მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. საბჭოს არც ერთ სხდომაზე არ ყოფილა მოსმენილი სექციების მოხსენებები. საბჭო არ არის ნათლად გარკვეული სექციების დანიშნულებაში და, ამის გამო, ვერ უწევს მათ ხელმძღვანელობას.

არავითარი მუშაობა არ სწარმოებს ღარიბთა შორის. რაიონში არ არსებობს ღარიბთა ჯგუფებიც. აღსანიშნავია, რომ საბჭოების არჩევნების დროს ღარიბთა ჯგუფები არავის გახსენებია.

უკანასკნელ დროს პარტიის ხულოს რაიკომმა გამოჰყო კომისიები, რომლებსაც დაევალა სოფლის საბჭოებთან და კოლმეურნეობებთან ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება, მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბთა ჯგუფები არ მუშაობენ.

დიდ-აჭარის სოფლის საბჭოს ფარგლებში არსებობს 7 კოლმეურნეობა. სოფლის საბჭო არ უწევს ხელმძღვანელობას ამ კოლმეურნეობებს, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები დიდათ საჭიროებენ დახმარებას.

დიდ-აჭარის სოფლის საბჭო საჭიროებს ხელმძღვანელობას. ხულოს რაიაღმასკომმა თავი უნდა დააღწიოს ოპორტუნისტულ თვითდინებაზე დაყრდნობას და გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სოფლის საბჭოებზე.

აჭარელი.

### საბჭოდან გაიწვიეს 3 უმოქმედო დეპუტატი

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

**ახალსენაკი**, 7 სექტემბერი. საბჭოების შემოწმების ოცდღიური ახალსენაკის რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს. სოფლის საბჭოებთან გამოიყო ბრიგადები, საბჭოების მუშაობის ცალკე დარგების გამოსაკვლევათ.

უბნებში ტარდება დეპუტატების ანგარიშგება. **ამომრჩევლები აქტიურად გამოდიან კამათში თვითეული დეპუტატის მუშაობის ირგვლივ.**

ძველი-სენაკის სას. საბჭოდან საუბნო კრებაზე გაიწვიეს 3 უმოქმედო დეპუტატი. მათ ნაცვლად საბჭოში არჩეულ იქნა დამკვრელი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები. სერივიზიო კომისიების მუშაობა ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად და გადახალისდა.

ასეთივე აქტივობით ტარდება შემოწმება ქვედა თეკლათის და და ნოსირის სას. საბჭოებში.

გ. უჩანეიშვილი.

### საბჭოების ბოლშევიკურად დათვალიერებისათვის

(ტელეგრაფით სიღნაღიდან)

**სიღნაღი**, 6 სექტემბერი. საბჭოების დათვალიერების ოცდღიური სიღნაღის რაიონში დაიწყო 25 აგვისტოდან. დამუშავებულია როგორც სარაიონო, აგრეთვე სოფლის საბჭოების შემმოწმებელ კომისიებისა და ბრიგადებისათვის შემოწმების გეგმები, კითხვარები და კალენდარული გეგმები.

საბჭოების შემოწმების სარაიონო ბრიგადამ სოფლის კომისიებზე დასახმარებლად მობილიზაცია გაუკეთა თავის აქტივს.

სიღნაღის პროფსაბჭომ საბჭოების დათვალიერებისათვის გამოყო 5 ბრიგადა. პროფკავშირის ინიციატივით ეწყობა მოანგარიშეების და ბუხალტრების შეფობა კოლმეურნეობებზე ანგარიშის საქმის მოსაგვარებლად.

საბჭოების შემოწმების სარაიონო კომისიამ გამოყო განსაზღვრული თანხა საუკეთესო სახლის დასაჯილდოებლად.

საბჭოების დათვალიერების ოცდღიური სიღნაღის რაიონში ჩატარებული იქნება მიმდინარე სამეურნეო კამპანიების, გეგმების ბოლშევიკურად შესრულების ნიშნის ქვეშ.

ი. ჯოჯუა, ჯორბენაძე, ელიზბარაშვილი.

### როგორ ვატარებთ საბჭოების დათვალიერებას სოფშეკრებების საფუძველზე

(ამბროლაური)

სას. საბჭოების დათვალიერება-შემოწმების 20 დღიურის ჩატარება ამბროლაურის რაიონის პარტიულ საბჭოთა და სხვ. ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას.

შემოწმების ნაყოფიერად ჩატარებისათვის რაიონში შექმნილია შტაბი და გამოყოფილი აქ იგადები. შემოწმების უკეთ ჩატარებისათვის ამბროლაურის რაიონმა სოც. შეკრებებში გამოიწვია ცაგერის რაიაღმასკომი.

ადგილებს დაეგზავნათ სათანადო დირექტივები და მათზე მიმაგრებულია პ. მგებელი ამხანაგები.

27 აგვისტოს მოწვეულ ადგილებზე მიმაგრებულ მუშაკთა თათბირზე გამოირკვა, რომ პროფკავშირები, კომკავშირი, და „მს. კავალერიის“ რაზმები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების დათვალიერებაში, კომკავშირის რაიკომს ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებია.

საჭიროა ყველა ამ ორგანიზაციების ამოქმედება: კომკავშირმა და „მს. კავალერიის“ რაზმებმა მეტი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოების დათვალიერებაში.

ნოე შარაშიძე.

### შემოწმება გაცხოველებით მიმდინარეობს

(აბაშის რაიონი)

ამიერ-კავკასიის ცაკის და საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილებათა საფუძველზე, სასოფ. საბჭოების დათვალიერების ოცდღიურის ჩატარებისათვის აბაშის რაიაღასკომმა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დაამთავრა. ოცდღიურის ჩატარების შესახებ სპეციალურად დამუშავდა საკითხი, შემუშავებული არის დათვალიერების ჩატარების კალენდარული გეგმა.

ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილია სარაიონო შტაბი და ჩამოყალიბებულია ბრიგადები, რომლის წევრები მიმაგრებული იქნენ ცალკე სოფლებზე.

ადგილებს მიცემული აქვთ დირექტივები ოცდღიურის ჩატარების შესახებ, რომლის საფუძველზე სოფ. საბჭოებმა შეადგინეს თავიანთი სამუშაო კალენდარული გეგმა: გამოყოფილია სასოფლო შტაბები, სასოფლო კომისიები და ბრიგადები, საბჭოების ცალკე დარგების მუშაობის შესამოწმებლად.

დათვალიერების ოცდღიურის უკეთ ჩატარების მიზნით, სოფლებს ერთმანეთი გამოწვეული ჰყავთ სოც.-შეჯიბრებაში, რომლის შედეგებს ამოწმებს სამასოდ გამოყოფილი ბრიგადები.

გრ. ადამია.

### რადიოს დახმარების ოცდღიური

## ა-კ შტაბი სუსტად მუშაობს

რადიოს დახმარების ოცდღიური სუსტად მიმდინარეობს. ამის მიზეზია ცენტრალურ ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულება ოცდღიურისადმი. თვით ამიერ-კავკ. შტაბიც კი არ მუშაობს ხეირიანად. შტაბის სხდომა ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო ორჯერ ჩაიშალა. 6 სექტემბერს თითქმის ყველა ძირითად ორგანიზაციების წარმომადგენლები არ გამოცხადდა შტაბის სხდომაზე. 7 სექტემბერს შტაბის სხდომა მოწვეული იქნა ხელმეორედ, რომელზედაც არ დაესწრო შტაბის წევრები ამხ. ქშონძერი (ამიერ-კავკ. პროფსაბჭო), გრიგორიევი („ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია), ახრიევი („მოლოდოი რაბოჩი“) და სხვ.

ოცდღიურისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება აფერხებს შტაბის ნაყოფიერ მუშაობას. თუ შტაბის ასეთი „ხელმძღვანელობა“ მომავალშიაც გაგრძელდა, კამპანიას ჩაშლა მოელის.

ა. ხოშუა.

## შემოწმება არ დაუწყიათ

**ზუგდიდი**, 8 სექტემბერი. რადიოს დათვალიერების და დახმარების ოცდღიურთან დაკავშირებით არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ რადიოს დახმარების ოცდღიური 5 სექტემბრიდან დაიწყო, ზუგდიდში შტაბი დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. სტრანსლიაციო რადიო-სადგური ახალ შენობაში გადატანის გამო ერთი თვეა შეჩერებულია. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები არსებულ დეფექტების გამოსასწორებლად.

ვ. ძ.

## საქართველოში გეოლოგიურ სამუშაოზე 1932 წელს დაიხარჯება 7.900.000 მანეთი

საქ. ს.მ.უ. საბჭომ დაამტკიცა გეოლოგიურ - საძიებელ სამუშაოთა გეგმა 1932 წლისათვის. გეგმის თანახმად მომავალი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს მთელ რიგ მადნეულობათა გამოკვლევები. პირველ რიგში გათვალისწინებულია ლითონის მადნეულობათა ბუდობებისა და საამშენებლო მასალათა (ტალკი, თაბაშირი, გრანიტი და სხვ.) კარიერების საფუძვლიანი გამოკვლევა.

დაკვრითი ხასიათის გეოლოგიურ სამუშაოებათ შემავალი წლისათვის აღიარებულია — შავი და ფერადი ლითონის ბუდობების გამოკვლევა და მათ შორის უპირველესად — სპილენძის მადნების გამოკვლევა კახეთში, დევდორაკში და აჭარისტანში; ტყვიისა და თუთიის ბუდობების გამოკვლევა კუდარში (სამხრეთ-ოსეთი). საამშენებლო მასალებიდან პირველი რიგის სამუშაოებათ აღიარებულია ცეცხლმძლე თიხის ბუდობის, ტალკის და თაბაშირის ბუდობების გამოკვლევა.

ყველა გათვალისწინებული გეოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად გადაწყვეტილია დახარჯულ იქნეს 7.900.000 მანეთი.

ერთ-ერთ მთავარ ობიექტად აღიარებულია ჩათხის სპილენძის მადნების გამოკვლევა. 1932 წელს უნდა დამთავრდეს ადნეულობათა მთელი მარაგის გამოკვლევა ჩათხის რაიონში და უნდა იქნეს შესწავლილი იქ საექსპლოატაციო სამუშაოთა დაწყების საკითხი.

მოტო-გადარბენის მონაწილეთა შეხვედრა ახალციხეში

## ამხ. ს. კვირიკაშვილის ხსოვნას

ა.-წ. 7 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ვაქირში (სიღნაღის რაიონი) გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და თავდადებული რევოლიუციონერი ამხ. სოსიკო კვირიკაშვილი.

კომუნისტური პარტიის კახეთის ორგანიზაცია ამხ. ს. კვირიკაშვილს იცნობს როგორც გამოცდილ და მტკიცე ბოლშევიკს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თავდადებულად იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარებისათვის. ამხ. ს. კვირიკაშვილი უდიდესი ენერგიით იბრძოდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ამხ. კვირიკაშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით განმტკიცდა და გაძლიერდა კოლმეურნეო მშენებლობა ვაქირში და მის ახლო-მახლო სოფლებში.

მიუხედავად მოხუცებულობისა (ამხ. ს. კვირიკაშვილი 60 წლის იყო) მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიების გატარებაში, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა კულაკების წინააღმდეგ და პირნათლად ასრულებდა პარტიის ყველა დავალებებს.

ამხ. ს. კვირიკაშვილის სახით კომპარტიის (ბ) სიღნაღის ორგანიზაციამ დაკარგა საუკეთესო ბოლშევიკი.

მშვიდობით ამხ. სოსო. შენი ამხანაგები თავდადებით ვიბრძოლებთ იმ იდეების განსახორციელებლად, რომელსაც შენ შესწირე შენი სიცოცხლის საუკეთესო წლები.

ი. ფხეიძე.

## თბილისში ეწყობა ოთხი რაიონული საბჭო

### რაიონული საბჭოების დაარსება ხელს შეუწყობს საქალაქო მეურნეობის განვითარებას და საბჭოების ამომრჩევლებთან მჭიდროდ დაკავშირებას

თბილისის საბჭოს მერვე პლენუმზე ამხ. ვ. მახაიძემ გააკეთა მოხსენება თბილისის დარაიონების და რაიონულ საბჭოების დაარსების მნიშვნელობის შესახებ.

სოციალისტურ მშენებლობის სწრაფი განვითარება,—განაცხადა ამხ. მახაიძემ—მოითხოვს საბჭოების მუშაობის გარდაქმნას, მშრომელი მოსახლეობის ახალ საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილებას.

თბილისის საბჭოს ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ ვერაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული საქალაქო მეურნეობა.

შემდეგში საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, რომელიც გულისხმობს კომუნალურ მომსახურეობის გაძლიერებას, სანიტარულ პირობების ზუსტათ დაცვას, კეთილმოწყობას და სხვ. პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა მიზანშეწონილად ცნეს რაიონულ საბჭოების დაარსება ისეთ დიდ სამრეწველო ქალაქში, როგორიცაა თბილისი.

რაიონული საბჭოების მოწყობა იმავე დროს გაადვილებს საბჭოს მუშაობაში მუშების აქტიურ მონაწილეობას და ხელს შეუწყობს ამომრჩევლებთან საბჭოს უფრო მჭიდროთ დაკავშირებას.

თბილისი დაყოფილი იქნება 4 რაიონად. თვითეულ რაისაბჭოს ექნება საკუთარი ბიუჯეტი და იგი თავის რაიონის ფარგლებში უშუალოდ უხელმძღვანელებს რაიონულ მნიშვნელობის საქალაქო მეურნეობას.

რაისაბჭოსთან მოეწყობა 19 განყოფილება. მაგ. კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის, მ.-გ. ინსპექციის, ჯანმრთელობის და სხ. რაიონს ექნება თავის საკუთარი ადმინისტრატიული ცენტრიც.

რაიონული საბჭოები არჩეული იქნებიან ჩვეულებრივი წესით. უნდა ვეცადოთ, რომ რაისაბჭოს წევრებად არჩეული იქნენ სრულიად ახალი წევრები. რაისაბჭოში შეიძლება არჩეული იქნენ თბილისის საბჭოს წევრებიც. მაგრამ მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 10 პროცენტს.

რაისაბჭოების არჩევნები და მოწყობა, რომელიც ამ დღეებში დაიწყება, უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე.

ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ რაისაბჭოების დაარსებამ არ გამოიწვიოს ზედმეტი ხარჯები ამ მიზნით განზრახულია თბილისის საბჭოს აპარატის თანამშრომელთა გადასროლა რაიონებში. ამჟამად თბილისის საბჭოს აპარატში მუშაობს 608 კაცი, აქედან 300 კაცზე მეტი გამოყენებული იქნება რაისაბჭოების აპარატებში, რაც საქალაქო დააკმაყოფილებს რაისაბჭოების შტატის მოთხოვნილებებს.

თბილისის საბჭო რჩება ისე, როგორი სახითაც იყო. იგი ხელმძღვანელობას გაუწევს რაისაბჭოების მთელ მუშაობას და იმავე დროს განაგრძობს საერთო საქალაქო მნიშვნელობის კომუნალურ მეურნეობას.

ჩამოყალიბებული იქნება შემდეგი ოთხი რაიონი:

1-ლი იქნება ლენინის რაიონი, რომლის ტერიტორია განისაზღვრება ორთა-ღელედან დაწყებული რკინის-გზის გადაღმა მდებარე ადგილებით არსენალამდე, აგრეთვე ამ რაიონის გაშენებლობაში შევა სხვა რაიონების ტერიტორიაზე მოხვედრილი რკინის გზის დაწესებულებები.

მეორე, სტალინის რაიონში შევა კარლ მარქსის მოედნიდან პლეხანოვის პროსპექტის ვაკეწვრივ რკინის გზის ხაზამდე მდებარე ადგილები, მთელი დიდუბე, ტრამვაის პარკი და სხვ.

მესამე რაიონის ანუ „26“-ის“ რაიონი დაიწყება კარლ მარქსის მოედნიდან და მას ში მოექცევა ავლაბარი, ნავთლუღი, რიყე ორთაჭალა, შუა ბაზარი და სხვ.

მეოთხე რაიონის ტერიტორია დაიწყება თავისუფლების მოედნიდან და მასში მოექცევა შუა ბაზრის ზევით და აქეთ მდებარე ადგილები წყალგამომა მდებარე მთელი ტერიტორიით.

როგორც რაისაბჭოების, ისე თბილისის საბჭოს მუშაობის გაცხოველების მიზნით, მათი წევრები განთავისუფლებული იქნებიან სხვა საზოგადოებრივ დატვირთვისაგან.

პლენუმმა მიიღო თბილისის დარაიონების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საქ. ცაკს.

დასასრულ პლენუმმა თბილისის საბჭოს სახელით შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კავკასიის წითელდროშოვან არმიას.

### კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბს

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეომრებს, რომლებიც საბრძოლო მანევრებიდან დაბრუნდნენ საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დედა ქალაქის ტერიტორიაზე, მხურვალე სალამს უძღვნის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს მერვე პლენუმი.

თბილისის საბჭოს პლენუმი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს საბრძოლო მანევრების წარმატებით დამთავრებას, როგორც სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების საწინდარს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას (ბ) და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხ. სტალინის მეთაურობით.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას!

თბილისის საბჭოს პლენუმი.

## ქრონიკა

### ამხ ლევინტალის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი, კომფრაქციის წევრი ამხ. ლევენტალი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გაეცნოს საქართველოში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობას.

### სხვადასხვა

— 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) შესდგება ს. ს. კ. სამეცნიერო აკადემიის ა-კ. საისტორიო - საარქეოლოგიო ინსტიტუტის სხდომა, რომელზედაც იაფეტიური ინსტიტუტის წევრი პროფ. მეშჩანინოვი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „იაფეტოლოგიის ძირითადი დებულებანი მათი უახლოესი გამუქებით“. შესვლა თავისუფალია.

## ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი კულაკების აჭრილი ოთხფეხი საქონლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვის აკრძალვის შესახებ**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებსა და სასამართლოს ვადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღმასრულებელთ ვალის გადაუხდელობის გამო კულაკურ მეურნეობებში აჭრილი ყოველგვარი ცოცხალი საქონლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვისათვის დანიშვნა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ოთხფეხი საქონელი უნდა გადაეცეს „სოიუზმიასო“-ს ორგანოებს იმ ფასად, რასაც ამა თუ იმ სახის საქონლისათვის დააწესებს მომარაგების სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ყოველ ნახევარწლიურად ერთხელ.

3. აჭრილი ოთხფეხი საქონლის ფასს გამო ადგილებზე აღძრულ დავას ვადასწყვეტს საბოლოოდ სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

4. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე, ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

5. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ბოჭია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივლისის 13.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცკას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კატაიანს, გოგოლაძეშვილს, მიშა ჯგალიაშვილს და ჩხიკვაძეს, 9 სექტემბერს, 12 საათზე გამოცხადდენ ცკას კადრების განყოფილებაში ამხ. გურგენიძესთან.


**რუსთაველის თეატრი** სანდრო ახმეტელის ხელმძღვან. სეზონი 1931-32 წ.

თეატრის დირექცია აცხადებს, რომ 15 სექტემბრამდე მიიღება დამატებით განცხადებები აბონემენტებზე.

აბონემენტების გაცემა ყოველდღე 11—2 და 6—8 საათამდე. აბონემენტების შეძენის დროს გადახდილი უნდა იქნეს 1-ლი შესატანი.

ნ. 1711 2 2

**კულტურის და დასვენების პარკი** (უ. არტო, პლეხ. პრ. 105)

9 სექტემბერი

**დიდი საღამო-კონცერტი იუმორის და სატირის**

მონაწილეობენ: ილია ნიზატოვი, ჟიხარიოვა, აფხაიძე, დები ლავროვები (სახ. ცირკი) ინოველი, ჰიპინძე, გილბერტი, სიხარულიძე, ალშიბაია, საფაროვა.

ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი ჭელტუხინის ხელმძღვანელობით.

მუშაობს ყველა ატრაქციონები ბაღში ბუფეტი, ცუდი ამინდის შემთხვევაში კონცერტი გადატანილი იქნება დახურულ შენობაში. დასაწყისი საღ. 9-ხან. საათზე.

ბილეთები იყიდება 6 საათიდან. (ნ. 1717) ადმინისტრაცია.

სახელმწიფო თეატრები

**საზაფხულო ეთერი** (სახ. ოპერის ბაღში) დასაწყისი 8-30, 10—30.

**სახელმ. კინო პალასი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

**საზაფხულო დარბაზი** (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 8-30. 10—30.

**როზა ლიუქსემბურგ. სახელ.** (ყოფ. მინიონი) I-ლი სეან. 7 ს. მე II სეან. 8-45 მე III სეანსი – 10-30.

**უმცროსი ძმა** გაროლდ ლოიდის მონაწილეობით.

ახალი მხატვრული ფილმი **ცეცხლი**

ახალი მხატვრული ფილმი **ტუნგუ**

პროგრამის გარეშე – ბალტიის ფლოტის ოლიმპიადა.

გერმანული ნაწარმოები, ახალი მხატვრული ფილმი **კრაუზეს დედის ბედნიერება**

ამ.-კავკ. დაუსწრებელი **ენერგეტიული ინსტიტუტი**

თბილისი, არსენალის მთა, ტელეფ. 14—60.

აქვს ორი სექტორი ქართულ და რუს. ენებზე.

სპეციალობანი:

1. ენერგიის გადაცემისა და გაანაწილების ხაზები.
2. ელექტრო-მექანიკური.
3. თბო-მექანიკური.
4. სუსტ დენათა:
   ა) რადიო.
   ბ) ტელეფონი.
   გ) ტელეგრაფი.

ანკეტები და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში.

7381

**მასწავლებელი ბიღაიშვილი** ამზადებს რუსულად და ქართულად ყველა საგნებში. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისათვის. ფასი ზომიერია. პლეხანოვის პროსპ. 97. 7332

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სახლუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 5—12

**ს. ა. დიშელი** დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები **სახის სილამაზის მოვლა** რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22. 25—4 5464

**დ. ლ. თევზაძე** დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყოფ. ბუდღოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—58 25—1 7247

**საქ. საფინ. კოოპერატ. ინსტიტუტი** ამით აცხადებს

იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებიც გასული წლის დეკემბრის თვეში ძობილიზაცია მიიღო იყვნენ: ფინსახკომის, სახბანკის და ცეკავშირის მიერ და რომელთაც ევალებათ გამოცხადდენ ინსტიტუტის სამხედრო ხელმძღვანელთან 15 სექტემბრამდე ათდღიან შეკრებაზე, გამოცხადება სავალდებულოა აგრეთვე იმათთვისაც, ვისაც ჩაბარებული აქვთ სამხედრო საგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი პრეტენზია არ მიიღება და ასეთი პირები დაკარგავენ სამხედრო სწავლების გავლის ძოწმობის მიღების უფლებას.

წარმოება დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ევალებათ გაანთავისუფლონ აღნიშნული პირები ადგილისა და ჯამაგირის შენახვით 15 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე ათდღიან სამხედრო შეკრებაზე გამოსაცხადებლათ.

საფინ. კოოპ. ინსტიტუტის საქმეთა მმართველი გველესიანი. 7371

**ბრძანება № 381.** განათლების სახალხო კომისარის 1931 წ. სექტემბრის 4.

ვაცხადებ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ყველა სასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ 5-დან 8 სექტემბრამდე ყველა რაიონში და ყველა ტიპის სკოლებში უნდა ჩატარდეს მეთოდური კონფერენციები და საქართველო თათბირები. პროგრამები უკვე დამზადებული და გადაგზავნილია ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. თურქულ ენაზე დაგზავნილი იქნება 15 სექტემბრამდე.

სოცკულტგანყოფილებებს და სკოლის გამგეებს. პირადი პასუხისმგებლობით ევალებათ უზრუნველყონ მეთოდიურ კონფერენციებზე 4 სტ. ყველა მასწავლებელთა დასწრება და კონფერენციის მუშაობის მაღალი ხარისხი.

სკოლები 10 სექტემბრიდან უკლებლივ განახლდეს გეგმიანი მეცადინეობა.

განათლების სახ. კომისარის მოადგილე—შ. გეგენავა. ნ. 1999

**საქართვ. საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტის დირექცია ამით აცხადებს,** რომ 16 სექტემბრიდან ინსტიტუტში იწარმოებს **ნორმალური მეცადინეობა,** რის გამო პედაგოგიურ პერსონალს ევალება არა უგვიანეს 10 სექტემბრისა გამოცხადდენ ინსტიტუტში. სტუდენტები მე-2 და მე 3 კურსის უნდა გამოცხადდენ 15/IX. პირველი კურსელების მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 7338 დირექცია.

**მუშკოოპის სალიკვიდაციო კომისია ამით აუწყებს** თბილისის მუშკოოპის მეპაიებს და ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ ს. კ. პ. (ბ), ს ს ს. რ. სახკომსაბჭოსა და ცენტროსოიუზის 1931 წ. 12 მაისის მომართვის საფუძველზე სამომხმარებლო სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით თბილისის მუშკოოპის დელეგატთა საერთო კრების 1931 წ. 25 ივლისის დადგენილებით თბილისის მუშკოოპი წყვეტს თავის არსებობას. მუშკოოპის მეპაიეთა საერთო კრებამ აირჩია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც იმყოფება თბილისის მუშკოოპის ყოფილ შენობაში (თბილისი, ჟორესის ქ. № 7, ტელ. 17 53).

ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ პრეტენზიები თბილისის მუშკოოპის მიმართ, წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ ასეთი ლიკვიდკომს 1931 წ. 1 ოქტომბრამდე. ხსენებული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული. 7345 მუშკ. ლიკვიდკომი.

**თბ. კოოპერატ. მოწაფეობის სკოლა** აცხადებს, რომ 9 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე იწარმოებს საშემოდგომო პერიოდის მიღება განაწილებითი განყოფილების მაღალ და მასიურ ჯგუფებში. მაღალ ჯგუფში მისაღებად საჭიროა შვიდწლედის ცოდნა, მასიურ ჯგუფში—ხუთწლედის ცოდნა. წლოვანობა 14 წლ. –17 წლ. საჭიროა შემდეგი საბუთები: განათლების, წლოვანობის, სოციალურ წარმოშობის და ჯანმრთელობის. მოწაფეებს მიეცემათ სტიპენდია. სწავლა დაიწყება ყველა კურსებზე 16 სექტემბერს. მისამართი—ორჯონიკიძის ქ. № 49. კანცელარია ღიაა საღ. 6 საათიდან. 7375

**ს. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საყურადღებოთ**

ინსტიტუტის დირექცია ამით აცხადებს, რომ მეორე და მესამე კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ა-წ. 15 სექტემბრიდან.

პირველ კურსზე მეცადინეობის დაწყების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. 7380 პედაგოგ. ინსტიტუტის დირექცია.

**ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად**

მუშკოოპის წიგნაკები: სიმონ ლეჟავასი № 2045. პოლიკარპე ბახტაძის № 6. კონსტანტინე კიკნაძის № 87. სმაილ ალიხასი № 512. ალექსანდრე კანდელაკის № 16755. მიხეილ კიკვაძის № 1317. მიხეილ დოდილაძის № 177456.

კავშირის წიგნაკები: ვლადიმერ მურცხვლაძის. არშაკ ღუნაიოვის. ვლადიმერ ჭუმბურიძის. შუშანა ბუკიხიშვილის № 54203. ივანე გილია.

პირადობის მოწმობა: დავით გოცირიძის № 1550 ბიქტორ ლომაძის № 85 ელენე გოგიბერიძის.

მეტრიკ. ამონაწერი: ეთერი ოჩიგავასი. ნათელა ოჩიგავასი. ქსენია ჟღენტის ქეთო ნადირაძის. ვიოლეტა კოდუაძის. ქეთევან სოლოღაშვილის. თამარა ოდიშოვის. ნაილა სიმონიშვილი. სოფიო სიმონიშვილის.

სამხედრო წიგნაკი: ვლადიმერ რაზმაძის № 53 ვასილ ხოჯავასი. მირიან კუკულაძის. მიხეილ შაველაძის. ივანე გილის.

კურსის წიგნაკები: ბიქტორ ლომაძის 4 სულის ეკვენი თომაძის. ბარნაბ თევზაძის არშაკ ღუნაიოვის. აბრამ უშარაულის № 8744. ნინა უშარაულის № 2384480.

სხვა და სხვა: 7 წლ დამთავრ. მოწმ № 762 გრიშა ხაცავასი. საპენსიო წიგნაკი № 0.06.551 გიორგი სურიძის. ნამსახურობის მოწ. ვასილ ხოჯავასი. ზაქარიას საწ. წიგ. № 39072 და წლიური ბილეთი ბიქტორ ლომაძის. გლეხკომის საწევ. წიგ. № 154 სმაილი ალანიასი. 7 წლ დამთავრ. მოწ. აჩილ შლიასი 7 წლ დამთ. მოწ. № 18 ქეთო ნადირაძის. საპენსიო წიგ. სოფიო ხაჩატუროვის. სტუდენტობის მოწ № 11 ვლადიმერ ჭუმბურიძის. ლომბარდის ქვ. № 156065 სათენიკ ხაჩატუროვის. სტუდენტობის მოწ. კონსტანტინე ჭავჭანიძის. საშუალო განათლების ატესტატი № 1650 გაბრიელ ქიტავასი.

**სახელგამის პერიოდსექტორი** გადავიდა ახალ ბინაზე. **ჯორჯაძის ქ. № 1.** ნ. 1719

**თბილისის პედკომბინატი** (გაერთიანებული პირველი, მეორე და მესამე პედტექნიკუმები) აცხადებს მესამე კურსის მოწაფეთა საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებული არიან ყოველ მიზეზის გარეშე **გამოცხადდენ პედკომბინატში** (კამოს ქ. 52) **ა.-წ. 10 სექტემბერს.** მოწაფე, რომელიც არ გამოცხადდება, დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან. პედკომბინატის ადმინისტრაცია

1. 1931 წლის 1-ლ ოქტომბრიდან თბილისში **გაიხსნება პურის ცხობის ხამწლიანი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ორი სექტორით—ქართული და რუსული.**

2. საფაბრიკო საქარხნო სკოლაში მიღებულნი იქნებიან ორთავე სქესის პირები 14 დან 18 წლამდე.

3. სკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარადგინონ: ატესტატი ან ცნობა ხუთწლედის დამთავრების შესახებ, მეტრიკული მოწმობა, ცნობა სოციალური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის შესახებ, განცხადება და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

4. განცხადებანი მიიღება ყოველდღე 1931 წ. 25 აგვისტომდე საქპურტრესტის კადრების განყოფილებაში, ჟორესის ქ. № 7, ყოფ. მუშკოოპის გამგეობა, პირველ სართულში.

პირობების დაწვრილებით გაგება შეიძლება იქვე.

„საქპურტრესტის“ კადრების განყოფილება —არაქელოვი. ნ. 7344

**იუველირი ბაბა** საამქინძლო **გრაფის ქუჩა 10.** 7383

თანახმად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლ. 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა, თბილისის აღმასკომის მაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ივანე ვახილოვ-ძე პიროვენიკოს შეტანილი აქვს განცხადება თავის გვარის და სახელის პიროვენიკო ივანეს ახალ გვარზე გრომოვი რემზედ გამოცვლის შესახებ. 7373

**მედიცინის დ-რი ახვერდოვი** სპეც. ვენერიული და სიფილისი. მიღ. დილ. 9—12 და საღ. 7—9 ლეხანოვის ქ. № 7 (შესავალი ნაიულის კუთხიდან, 1). 25—1 7021

დამწუხრებულნი: ცოლი ნინა, შვილი თამარა ზედგინიძეები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი **ალექსანდრე სპირიდონის-ძე ზედგინიძე** პანაშვიდი დღეს, 9 სექტემბერს, 7 საათზე გამოსვენება ბინიდან ყორღანოვის ქ. № 4, 10 სექტემბერს, 6 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 7386

დის შვილები პეტრე და მარიამი ადამაშვილები, საშა, ნესტორი, შალიკო და დათა ფანჯიკიძეები, მაშო, პაშა, ვასო და კოლია კონსტანტინოვები, ნინა რუხაძე, სონია მელიქიძე, ნინა სეხნიაშვილი ქმრებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ბიძა **ალექსანდრე სპირიდონის-ძე ზედგინიძე** პანაშვიდი დღეს, 9 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 10 სექტემბერს საღამოს 6 საათზე (ყორღანოვის ქ. № 4). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 7385

დამწუხრებულნი: ძმა ძიხელი ცოლით მარიამით შვილებით: ლილით და მურათი; დები: ბაბალე, პელო, აგუტა ქმრებით და შვილებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი ძმა **ალექსანდრე სპირიდონის-ძე ზედგინიძე** სამოქალაქო პანაშვიდი ბინაზე დღეს 9 სექტემბერს, გაასვენება ყორღანოვის ქ. № 4, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 10 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე. 7385

ღრმად დამწუხრებული ძმა იონა, რძალი ნინა, ძმის შვილები: ვენია, ვენერა, ქეთო აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი **მაკარი ასალოს-ძე მახარაძე** 7384

დამწუხრებული ძმა ერმალო, რძალი მარიამი, ძმის შვილები ვახტანგი, ძუკი, შოთა მახარაძეები დისტირით პირველის ძმის და მეორის ბიძის **მაკარი ასალოს-ძე მახარაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 7384

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე, მეუღლე ანეტა, შვილები: საშა, ზინაიდა, ელენა, ნადია, ოუსუდანი ცხარე ცრემლებით დავტირით ჩვენთვის ძვირფას მამის **მაკარი ასლანის-ძე მახარაძის** ცხედარს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 7384

დამწუხრებული მშობლები: ივანე და ალათი, მეუღლე ლენა პაწია ლევანით, ძმები: მარო, სიმონ, ნინა, სანდრო, გოიმა, სევერიანე და თამარა, რძლები: ფილა, პაშა, ალვასი, ქრისა და თამარა მინდაძეები ბავშვებით იუწყებიან საყვარელ ინჟინერ **ვალიკო ივანეს-ძე მინდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 9 სექტემბერს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ფოთის ქუჩა № 17, 4 საათზე. 2-2 ნ. 1707

განსაკომის თანამშრომლები: გრ. გიორგაძე, ს. მამალაძე აკ გვახარია, დ. მელიქაძე და პ. წაქაძე გულწრფელი მწუხარებით აღნიშნავენ ამხ. სეგ. მინდაძის ძის **ვალიკო მინდაძის** უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 1718

ილია ივანეს-ძე მეუღლით ალექსანდრე ბექანის ასული დავითაშვილები იუწყებიან მათთვის საყვარელ ადამიანის და ამხანაგის **ვალიკო ივანეს-ძე მინდაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 7382

საქართველოს სტანდარტ ბიუროს მმართველობა და თანამშრომლები იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა აზერბეიჯანის სტანდარტ ბიუროს ინსპექტორი, ენერგიული მუშაკი **ამხ. ვალიკო ივანეს-ძე მინდაძე** დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დღეს, 5 საათზე. 7379

ექიმი გრიშა მინდაძე ცოლით ქენიათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა **ვალიკო ივანეს-ძე მინდაძე** გამოსვენება დღეს, საღამოს 4 საათზე, ფოთის ქუჩა, № 17. 7361

სევერიანე და თამარა მინდაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობმეგობრებს, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა **ვალიკო ივანეს-ძე მინდაძე** დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ფოთის ქუჩა, № 17. ნ. 1714

სიძე ზაქარია და თამარა შვილი ნანათი; ილიკო, ტერეზი მგალობლიშვილები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ ინჟინერ **ვალიკო ივანეს-ძე მინდაძის** გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს, 9 სექტემბერს. გამოსვენება ფოთის ქუჩა, № 17. 7364

მწუხარებაში მყოფნი დედა ლიუდმილა, ცოლი კალიშო, შვილები: კეკური, ფაცია, დები: ოლღა, ხაჯია, ქსენია, სიძე დავითი, ბიძები და ბიძაშვილები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი **მანაველ ალექსანდრეს-ძე კვირიკაშვილი** დაკრძალვა სოფ. წითელხევში კვირას 6 სექტემბერს. ნ. 1721

ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი და რაიაღმასკომი აუწყებენ სიღნაღის რაიპარტორგანიზაციას და სოფლის საბჭოებს, რომ 7 სექტემბერს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და კომუნიზმისათვის მებრძოლი **სოსიკო კვირიკაშვილი** სამოქალაქო პანაშვიდი და დაკრძალვა სოფელ ვაქირში დღეს, 9 სექტემბერს. ნ. 1723

კვალითის კოლმეურნეობის მასწავლებლები: ო. ჯაჯღავა, ბ. გელოვანი, პ. ხუსკივაძე და დავით ხუსკივაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის, მასწავლებლის **მანაველ ალექსანდრეს-ძე კვირიკაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას ნ. 1721

მწუხარებაში მყოფნი: დედა ნინა, მამა იასონ ნავროზაშვილები, ბარუა მამინტი, ბებია ანნა დოლიძეები, ბებია სალომე და ბიძია გოგია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და უდროოდ შვილი **პატარა ვენერა ნავროზაშვილი** დასაფლავება 10 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 7362

ქალაქის ცენტრალური ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრები ღრმის მწუხარებით გამოსთქვამენ ამხ. **ნიკოლოზ (კოლია) ვლადიმერის-ძე ახობაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 1715

ღრმა მწუხარებაში მყოფი მიხეილ ოჩხეული ვილი გლოვობს ერთგულ მეგობრის და ბიძაშვილის **ნიკოლოზ რჩეულიშვილის** უდროოდ დაკარგვას. 7329


სტამბა გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობისა მთავლიტი № 9